

ბუღალტრული უღრიცხვა



ISSN 1512-0805


სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№8(283)
აგვისტო
2020

საქართველოს პროფესიონალ
ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია
ღრმა მწუხარებას გამოხატავს
პროფესიონალი ბუღალტრის,
ბაფის დაარსების დღიდან მისი
აქტიური წევრის, ქალბატონი

ნატალია თრბელაძის

გარდაცვალების გამო და
თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახსა
და ახლობლებს.



საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა
და აუდიტორთა ფედერაცია

ბუღალტრული აღრიცხვა

ყოველთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი
რეფერირდება „ქართულ რეფერირებულ ჟურნალში“

სტუ, ტექნიფორმი ISSN 1512-0775

№8(283)

აგვისტო

2020

მთავარი რედაქტორი ლავრენტი ჭუმბურიძე

გამოცემის რედაქტორი მანანა გველესიანი

სარედაქციო კოლეგია: ბაბი ალავერდაშვილი; კონსტანტინე დათიაშვილი;
ცისკარა ზარანდია; ნადეჟდა კვატაშიძე; ზურაბ ლიპარტია; გიორგი ნანუაშვილი;
დალი სოლოლაშვილი; რუსუდან ქუთათელაძე; რევაზ ძაძამია; იზოლდა ჭილაძე;
დავით ჯალალონია; ელენე ხარაბაძე.

რედაქცია შეიძლება არ იზიარებდეს ავტორის აზრს. შემოსული მასალები ავტორებს არ
უბრუნდებათ. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა და ციტატების სიზუსტეზე.

შინაარსი

პროფესიული სერტიფიცირების პრეტენდენტთა დასახმარებლად

რეგულირებადი უძღვება **გაბი ალავერდაშვილი**

ბას 8 – „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“. მოკლე მიმოხილვა და მაგალითები

მოდული „ფინანსური ანგარიშგება“ 3

ინტეგრირებული ანგარიშის ჩარჩო

მოდული „სტრატეგიული ბიზნესლიდერი“ 13

კანონები და სხვა ნორმატიული აქტები

მოდულები „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება“ და

„აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება“ (უმაღლესი დონე) 18

საბა ქაქაშია

მცირე და საშუალო საბუღალტრო ფირმები კარგი კარიერული

არჩევანია მომავლის ბუღალტრებისთვის 24

შიდა აუდიტორები ციფრული ტრანსფორმაციის ტემპს კარგავენ 26

ოფიციალური მასალები 27

კითხვა-პასუხი 57

ინფორმაცია პირუბიდან 62

შედეგებითი გასართობი გვერდი 65

რედაქციის მისამართი: 380054, ქ. თბილისი
წერეთლის გამზირი №61. ტელ./ფაქსი: 235-01-57; 235-67-56; 235-43-97
რეკვიზიტები: „თი-ბი-სი ბანკი“. კოდი 220101830 ა/ა 7 467 286

ჟურნალი ააწყო და დააკაბადონა ნ. ყაველაშვილმა

გადაეცა წარმოებას 5.09.2020. ხელმოწერილია დასაბეჭდად 6.09.2020.
ფორმატი 70x108 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 3,50. ტირაჟი 1500

ფასი 6 ლარი

© ბაფი 2020 წელი ჟურნალი რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოში
18.09.1997 წ. რეგისტრაციის № 4/4-1236

ბასს 8 – „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“

მოკლე მიმოხილვა და მაგალითები

მოდული „ფინანსური ანგარიშგება“

სააღრიცხვო პოლიტიკა

ბასს 8-ში მოცემული განმარტების მიხედვით, სააღრიცხვო პოლიტიკა არის გარკვეული პრინციპების, საფუძვლების, დაშვებების, წესებისა და პრაქტიკული მეთოდების ერთობლიობა, რომლებსაც საწარმო იყენებს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს.

საწარმო თავის სააღრიცხვო პოლიტიკას განსაზღვრავს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

თუმცა, ბასს 8-ში აღნიშნულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს სტანდარტი ან ინტერპრეტაცია, რომელიც სპეციალურად მოცემული ოპერაციის, სხვა მოვლენის ან გარემოებისათვის გამოიყენება, ხელმძღვანელობამ უნდა იმსჯელოს, რათა შეიმუშაოს და გამოიყენოს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც ისეთი ინფორმაცია მიიღება, რომელიც:

- ა) შეესაბამება მომხმარებლების ეკონომიკური გადაწყვეტილებების საჭიროებას; და
- ბ) საიმედოა იმ თვალსაზრისით, რომ ფინანსური ანგარიშგება:
 - (i) სამართლიანად ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას, საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას;
 - (ii) გამოხატავს ოპერაციების, სხვა მოვლენების ან პირობების ეკონომიკურ შინაარსს და არა ფორმას;
 - (iii) ნეიტრალურია, ე.ი. თავისუფალია სუბიექტური დამოკიდებულებისაგან;
 - (iv) არის წინდახედული; და
 - (v) არის დასრულებული ყველა არსებით ასპექტში.

მსჯელობისას ხელმძღვანელობამ უნდა გამოიყენოს შემდეგი ნყაროები, ბასს 8-ში მითითებული თანამიმდევრობით:

- სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მოთხოვნები და მითითებები, რომლებიც დაკავშირებულია მსგავს და მონათესავე საკითხებთან;
- ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში მოცემული აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების განმარტებები, მათი აღიარების კრიტერიუმები და შეფასების კონცეფციები; და
- სტანდარტების დამდგენი სხვა ეროვნული ორგანიზაციების ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც იყენებენ მსგავს კონცეპტუალურ ბაზას სააღრიცხვო სტანდარტ-

ტების შექმნისას (იმ პირობით, თუ ეს მიდგომა არ ეწინააღმდეგება არსებულ ფასს სტანდარტებს, ინტერპრეტაციებსა და ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებს).

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ბასს 8-ის ზოგადი წესი ისაა, რომ, როგორც წესი, საწარმოს მიერ შერჩეული (დამტკიცებული) სააღრიცხვო პოლიტიკა არ უნდა იცვლებოდეს წლების მანძილზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სხვადასხვა წლის ფინანსური ანგარიშგების შესადარისობა.

სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცვლილება:

- მოითხოვება სტანდარტით ან ინტერპრეტაციით; ან
- უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებაში უფრო **საიმედო და შესაბამისი** ინფორმაციის წარდგენას, საწარმოს მიერ განხორციელებული ოპერაციების, სხვა მოვლენების ან პირობების გავლენის შესახებ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მისი საქმიანობის შედეგებსა თუ ფულად ნაკადებზე.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას წარმოადგენს, მაგალითად ცვლილება:

- აღიარებაში, მაგ., ახლა ხარჯი აღიარდება აქტივის ნაცვლად;
- წარდგენაში, მაგ., ახლა ცვეთა აისახება რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში და აღარ აღიარდება ადმინისტრაციულ ხარჯებში;
- შეფასების საფუძვლის, მაგ., აქტივები აღარ აღიარდება პირვანდელი ღირებულებით, არამედ აღიარდება ჩანაცვლების ღირებულებით.

სააღრიცხვო მიდგომა

თუ ფასს სტანდარტის/ინტერპრეტაციის თავდაპირველი გამოყენებისთვის დადგენილი არ არის გარდამავალი დებულებები, საწარმო სტანდარტის თავდაპირველი დანერგვით გამოწვეულ სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას იყენებს რეტროსპექტულად (რეტროსპექტულად იყენებს ასევე ნებაყოფლობით ცვლილებასაც), ანუ:

- ისე გადაინაგარიშებს თითოეულ წინა პერიოდში წარდგენილ თანხებს, თითქოს ყოველთვის ახალი (შეცვლილი) სააღრიცხვო პოლიტიკა გამოიყენებოდა;
- გააკორექტირებს წარსულში წარდგენილ პერიოდთაგან ყველაზე ადრეული პერიოდის საკუთარი კაპიტალის შესაბამისი კომპონენტის საწყის ნაშთს (ანუ იმ კომპონენტის, რომელზეც გავლენას ახდენს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება);
- საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთის კორექტირების თანხას ასახავს საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში მეორე სტრიქონში „სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა“ სათაურით; და
- განმარტებით შენიშვნებში აღწერს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების არსს და წარმოადგენს კორექტირების თანხას მიმდინარე პერიოდისა და თითოეული წარდგენილი წინა პერიოდის თითოეული მუხლისთვის, რომელზეც გავლენას ახდენს ცვლილება, შესაძლებლობის ფარგლებში.

როდესაც შეუძლებელია კონკრეტული წინა პერიოდ(ებ)ისთვის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების რეტროსპექტულად გამოყენება, ანუ შეუძლებელია კონკრეტულ პერიოდზე მისაკუთვნიელი გავლენის ან ცვლილების კუმულაციური შედეგის განსაზღვრა, საწარმომ ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა გამოიყენოს ყველა წარდგენილი პერიოდიდან ყველაზე ადრეული პერიოდიდან მოყოლებული, რომლის მიმართაც შესაძლებელია რეტროსპექტული გამოყენება (და უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი).

განმარტებით შენიშვნებში გასამჟღავნებელი ძირითადი ინფორმაცია

- ა) სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ხასიათის აღწერა;
- ბ) ცვლილების მიზეზების ახსნა;
- გ) კორექტირების თანხა, მიმდინარე და თითოეული წინა წარდგენილი პერიოდის თითოეული მუხლის მიხედვით, რომელზეც გავლენას ახდენს ცვლილება;
- დ) შესაძლებლობის ფარგლებში, კორექტირების თანხა წარდგენილ პერიოდებამდე არსებული პერიოდებისათვის.

1-ლი მაგალითი

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელ ერთ ცვლილებას უნდა მიენიჭოს კლასიფიკაცია „სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება“ ბასს 8-ში – „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“, მოცემული განმარტების მიხედვით?

- ა მიმდინარე წელს გაიზარდა საექვო ვალების ანარიცხი ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების/მოთხოვნების 6%-დან 8%-მდე.
- ბ მარაგის შეფასების საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი შეიცვალა ფიფო მეთოდით.
- გ ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვისთვის გამოყენებული შემცირებადი ნაშთის მეთოდი შეიცვალა წრფივი მეთოდით.
- დ შეიცვალა სახარატო დაზგების სასარგებლო ეკონომიკური მომსახურების ვადა 6 წლიდან 8 წლით.

ამოხსნა:

სწორი პასუხია „ბ“.

ბასს 8-ის – „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ – თანახმად, მარაგის შეფასების მეთოდის შეცვლა უნდა კლასიფიცირდებოდეს, როგორც სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა. საექვო ვალების ანარიცხის შეცვლა, სასარგებლო ეკონომიკური მომსახურების ვადისა და ცვეთის დარიცხვის მეთოდების შეცვლა სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებია.

მე-2 მაგალითი

ქვემოთ აღწერილიდან, რომელ ორ სიტუაციაში შეუძლია საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა:

- ა თუ ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით საწარმო უფრო ხელსაყრელ შედეგებს მიიღებს.
- ბ თუ ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება გამოიწვევს მოვლენებისა და სამეურნეო ოპერაციების უფრო საიმედო და შესაბამის წარდგენას.
- გ თუ სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა რომელიმე ფასს-ით მოითხოვება.
- დ თუ საწარმოს მიაჩნია, რომ ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას უფრო გაუადვილდება ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

- მოგვიანებით, შემდგომ პერიოდებში შესაძლოა აუცილებელი გახდეს შეფასებების გადახედვა და შეცვლა ახალი ინფორმაციის, უფრო მეტი გამოცდილების ან შემდგომი მოვლენების საფუძველზე.

მაშასადამე, სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები, რომლებიც გამოწვეულია ახალი ინფორმაციით ან ახალი მოვლენებით, არ წარმოადგენს შეცდომების გასწორებას.

მაგალითად, შემდეგი სააღრიცხვო შეფასებები შეიძლება შეიცვალოს:

- საექვო ვალების ანარიცხები;
- ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება;
- ცვეთადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა ან შესაძლო ეკონომიკური სარგებლის მიღების სქემა/მოდელი;
- საგარანტიო ვალდებულებები;
- გრძელვადიანი აქტივების ცვეთის დარიცხვის მეთოდი;
- დაძველებული მარაგი.

სააღრიცხვო შეფასების ცვლილება აისახება პერსპექტიულად, ანუ მიმდინარე პერიოდში (და მომავალ პერიოდებშიც, თუ ცვლილება გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე მომდევნო პერიოდებზე).

ბასს 8-ის პრინციპების თანახმად, როდესაც ძნელია სააღრიცხვო პოლიტიკასა და სააღრიცხვო შეფასებაში მომხდარი ცვლილების ერთმანეთისაგან გამიჯვნა/გარჩევა, ასეთი ცვლილება განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება.

საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა ასახოს სააღრიცხვო შეფასებაში მომხდარი ისეთი ცვლილების შინაარსი და მოცულობა, რომელიც არსებით გავლენას ახდენს მიმდინარე პერიოდზე ან/და მოსალოდნელია, რომ მოახდენს მომავალ პერიოდებზე. თუ შეუძლებელია მომავალ პერიოდებზე ამ ცვლილების გავლენის განსაზღვრა, განმარტებით შენიშვნებში არ ხდება ასეთი ცვლილების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება.

მე-4 მაგალითი

ძირითადი საშუალება, რომლის თვითღირებულებაა \$24,000, უნდა ჩამოინეროს 8 წლის მანძილზე. მის ჩამოსაწერად შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდის გამოყენება: წრფივი მეთოდი, შემცირებადი ნაშთის მეთოდი, ციფრთა ჯამის მეთოდი და სხვ.

ზემოაღნიშნულიდან, რომელი ინფორმაცია/მოსაზრებაა დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკასთან და რომელი სააღრიცხვო შეფასების ცვლილებასთან?

ამოხსნა:

ცვეთის მეთოდის შერჩევა შეფასების მეთოდის შერჩევაა (და, ცხადია, დაკავშირებულია სააღრიცხვო შეფასების ცვლილებასთან), ხოლო გრძელვადიანი აქტივის თვითღირებულების ჩამოწერის პოლიტიკა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში არის სააღრიცხვო პოლიტიკა.

ამგვარად, შეფასების მეთოდების მეშვეობით ხდება სააღრიცხვო პოლიტიკის შეფასებითი ასპექტების რეალიზება.

მე-5 მაგალითი

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების მაგალითი ბასს 8-ის – „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ – მიხედვით?

- ა შეიცვალა ცვლის ხარჯის წარდგენის წესი: ადრე საწარმო ასახავდა ადმინისტრაციულ ხარჯებში, ახლა ასახავს კომერციულ დანახარჯებში.
- ბ მიმდინარე წელს გრძელვადიან აქტივებს ცვეთა დაარსების შემცირებადი ნაშთის მეთოდით, ხოლო წინათ გამოიყენებოდა წრფივი მეთოდი.
- გ მარაგის ღირებულება შეამცირეს თვითღირებულებიდან ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მაკორექტირებელი მოვლენის გათვალისწინებით.

ამოხსნა:

სწორი პასუხია „ა“.

„ბ“ (ანუ ცვლის დარიცხვის მეთოდი) სააღრიცხვო შეფასებაა, ხოლო „გ“ ნიშნავს იმავე პოლიტიკის გამოყენებას, რაც წინათ გამოიყენებოდა, მაგრამ უბრალოდ ციფრია კორექტირებული.

მე-6 მაგალითი

სააღრიცხვო პოლიტიკა თუ სააღრიცხვო შეფასებები?

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და რომელი შეფასების მეთოდის?

- ა საწარმო წინათ ცვეთასა ასახავდა რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში, ხოლო ახლა ამ ზედნაღებ ხარჯებს ასახავს ადმინისტრაციულ ხარჯებში.
- ბ საწარმო ადრე მარაგებს აფასებდა ფიფო მეთოდით, ხოლო ახლა განზრახული აქვს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენება.
- გ საწარმო წინათ ავტომატურად ცვეთას არიცხავდა წრფივი მეთოდით, ხოლო ახლა განზრახული აქვს შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენება.

ამოხსნა:

თითოეულ ელემენტთან (მოსაზრებასთან) დაკავშირებით, თქვენ თავს დაუსვით კითხვა, იგულისხმება თუ არა შეცვლა:

- აღიარების;
- წარდგენის; ან
- შეფასების საფუძვლის.

იქ, სადაც პასუხი იქნება „დიახ“, ეს იქნება სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება.

- ა ეს არის წარდგენის შეცვლა და, მაშასადამე, იქნება სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება.
- ბ ეს არის შეფასების საფუძვლის შეცვლა და, მაშასადამე, იქნება სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება.
- გ ეს არის მხოლოდ შეფასების მეთოდის შეცვლა.

მე-7 მაგალითი

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების მაგალითი და რომელი სააღრიცხვო შეფასების ცვლილების?

- ა) მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში საკომისიო შემოსავლის კლასიფიცირება სხვა საოპერაციო შემოსავლის სახით, რომელსაც ადრე მინიჭებული ჰქონდა ამონაგების კატეგორია.
- ბ) არამატერიალური აქტივის დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და შესწორება.

ამოხსნა:

- ა) ეს ცვლილება არის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება ბასს 8-ის მიხედვით.
- ბ) ეს არის სააღრიცხვო შეფასების ცვლილება.

წინა პერიოდის შეცდომები

ბასს 8-ში მოცემული განმარტების თანახმად, **წინა პერიოდის შეცდომები არის** საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებული უზუსტობა ან ელემენტების გამოტოვება, რომელიც წარმოქმნილია ერთი ან რამდენიმე პერიოდის წინ იმის გამო, რომ ვერ იქნა ან არასწორად იქნა გამოყენებული საიმედო ინფორმაცია, რომელიც:

- ა) ხელმისაწვდომი იყო, როდესაც შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ნებადართული იყო საჯარო გამოქვეყნებისათვის; და
- ბ) მართლზომიერად მოსალოდნელი იყო, რომ მოძიებული და გათვალისწინებული იქნებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს.

ამგვარი შეცდომები შესაძლოა გამოწვეული იყოს:

- ა) მათემატიკური შეცდომებით;
- ბ) სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში დაშვებული შეცდომებით;
- გ) ფაქტების უყურადღებოდ დატოვებით;
- დ) ფაქტების არასწორი ინტერპრეტაციით;
- ე) თაღლითობით.

წინა პერიოდების შეცდომების სააღრიცხვო მიდგომა

საწარმომ რეტროსპექტულად უნდა შეასწოროს წინა პერიოდის არსებითი შეცდომები გამოსაცემად ნებადართულ პირველივე ფინანსურ ანგარიშგებაში მას შემდეგ, რაც შეცდომა გამოვლინდა და ეს უნდა გაკეთდეს შემდეგი გზით:

- ა) გადაანგარიშდება თითოეული იმ წინა წარდგენილი პერიოდის შესადარისი ინფორმაცია, რომელშიც დაშვებულ იქნა შეცდომა;
- ბ) გადაანგარიშდება ყველაზე ადრეული წარდგენილი პერიოდის აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთები, თუ შეცდომა დაშვებულ იქნა წარდგენილ პერიოდთაგან ყველაზე წინა პერიოდამდე;

- გ) საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთის კორექტირების თანხა აისახება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში მეორე სტრიქონზე; და
- დ) განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნდება ინფორმაცია შეცდომის ხასიათის შესახებ და შესწორების თანხა თითოეული წარდგენილი წინა პერიოდის თითოეული მუხლისთვის, რომელზეც გავლენას ახდენს შეცდომა.

თუ შეუძლებელია კონკრეტულ პერიოდზე მისაკუთვნიელი, შეცდომის გავლენის ან კუმულაციური შედეგის განსაზღვრა, საწარმომ შეცდომა უნდა შეასწოროს ყველა წარდგენილი პერიოდიდან, ყველაზე ადრეული პერიოდიდან/თარიღიდან მოყოლებული, როდესაც შესაძლებელია ამის გაკეთება (და უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი).

განმარტებით შენიშვნებში გასამჟღავნებელი ძირითადი ინფორმაცია

- ა) წინა პერიოდის შეცდომის ხასიათი.
- ბ) შესწორების თანხა თითოეული წარდგენილი წინა პერიოდისათვის, ფინანსური ანგარიშგების თითოეული მუხლისთვის, რომელზეც გავლენას ახდენს შეცდომა.
- გ) შესწორების თანხა წარდგენილ წინა პერიოდთან ყველაზე ადრეულის დასაწყისისათვის.

მე-8 მაგალითი

წინა პერიოდის შეცდომები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიამ აღმოაჩინა, რომ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების შემადგენლობაში ჩართულია გარკვეული ელემენტები/მუხლები, რომელთა ღირებულება შეადგენს \$1მლნ-ს, მაგრამ, ფაქტობრივად, ეს მარაგი გაიყიდა საანგარიშგებო თარიღამდე.

შემდეგ ცხრილში მოცემულია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თავდაპირველი ციფრები და მიმდინარე 2019 წლის ციფრები.

	2019 \$'000	2018 \$'000
რეალიზაცია	50,000	47,000
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	32,000	31,000
საერთო მგება	18,000	16,000
გადასახადი	3,000	2,000
წმინდა მოგება	15,000	14,000

2019 წლის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს \$1მლნ-ის ოდენობის შეცდომას მარაგის საწყის ნაშთში.

მოგეთხოვებათ:

წარმოადგინოთ 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგება შესაძარისი ციფრებით.

ამოხსნა:

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

	2019 \$'000	2018 \$'000
რეალიზაცია	50,000	47,000
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		
2019 (32,000 — 1,000)	31,000	
2018 (31,000 + 1,000)		32,000
საერთო მგება	19,000	15,000
გადასახადი	<u>3,000</u>	<u>2,000</u>
წმინდა მოგება	<u>16,000</u>	<u>13,000</u>

მე-9 მაგალითი

როგორ უნდა აისახოს მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში წინა საანგარიშგებო პერიოდის არსებითი შეცდომა ბასს 8-ის შესაბამისად?

- ა საწარმომ მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგება უნდა გააკორექტიროს ცვლილების ასახვით რეზერვებში და განმარტებით შენიშვნებში გაამჟღავნოს ინფორმაცია, შეცდომის ხასიათის/ბუნების შესახებ.
- ბ საწარმომ მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში კონკრეტულად უნდა გააკორექტიროს მოგებისა და ზარალის ანგარიშგება (ცვლილების ასახვად) და განმარტებით შენიშვნებში გაამჟღავნოს ინფორმაცია, შეცდომის ხასიათის/ბუნების შესახებ.
- გ საწარმომ უნდა გადაიანგარიშოს წინა პერიოდის შესადარისი თანხები – განსაზღვროს მათი სწორი ღირებულებები, თითქოს შეცდომა არასდროს ყოფილა დაშვებული და განმარტებით შენიშვნებში გაამჟღავნოს ინფორმაცია, შეცდომის ხასიათის/ბუნების შესახებ.
- დ საწარმომ უნდა გადაიანგარიშოს წინა პერიოდის შესადარისი თანხები – განსაზღვროს მათი სწორი ღირებულებები, თითქოს შეცდომა არასდროს ყოფილა დაშვებული, ხოლო განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნება შეცდომის ხასიათის/ბუნების შესახებ არ მოითხოვება.

ამოხსნა:

სწორი პასუხია „გ“.

წინა პერიოდის შეცდომა უნდა გასწორდეს წინა პერიოდის შესადარისი თანხების გადაანგარიშებით/გასწორებით, თითქოს შეცდომა არასდროს ყოფილა დაშვებული, ხოლო განმარტებით შენიშვნებში უნდა გამჟღავნდეს ინფორმაცია, შეცდომის ხასიათის/ბუნების შესახებ სხვა დეტალებთან ერთად.

დასკვნის სახით

ვეფიქრობთ, მაგალითების მეშვეობით ბასს 8-ის ძირითადი პრინციპების განხილვა და სახელმძღვანელოში მოცემული მასალის გახსენება დაგეხმარებათ ფინანსური ანგარიშგების გამოცდისთვის მომზადებაში. ბუნებრივია, აქ ისეთი მაგალითებიც შეგხვდათ, რომელთა ანალოგებიც სახელმძღვანელოში ან სავარჯიშოების კრებულშია შეტანილი, ზოგიერთი ტესტი ტიპური ოთხვარიანტიანი ტესტია, ზოგიერთი ორ ან სამვარიანტიანი, მაგრამ შესარჩევი პასუხების ვარიანტების რაოდენობა, ცხადია, ხელს არ შეგიშლით ბასს 8-ის პრინციპებთან დაკავშირებულ სავარაუდო ტესტებზე პასუხების გაცემის ტექნიკის გავარჯიშებაში. პირიქით, ნებისმიერი მოდულის გამოცდისთვის მზადებისას ყოველთვის გახსოვდეთ, რაც უფრო ბევრს ივარჯიშებთ პრაქტიკული მაგალითების/ტესტების ამოხსნაში, მით უფრო გაიზრდება გამოცდაზე თქვენი წარმატების მიღწევის ალბათობა.

სტატია მოამზადეს ირლანდიის ACCA-ის
საერთაშორისო პროგრამის ფინანსური ანგარიშგების
მოდულის გამომცდელმა
კონორ ფოლიმ და ბ. კომმა
2020 წლის იანვარი

ინტეგრირებული ანგარიშის ჩარჩო

მოდული „სტრატეგიული ბიზნესლიდერი“

2013 წელს საერთაშორისო ინტეგრირებული ანგარიშების საბჭომ (IIIF) გამოსცა ჩარჩო დოკუმენტი ინტეგრირებული ანგარიშების მოსამზადებლად. ინტეგრირებული ანგარიშების ჩარჩო დოკუმენტი ადგენს ინტეგრირებული ანგარიშის შინაარსისთვის სახელმძღვანელო პრინციპებსა და კონცეფციებს.

ჩვენი სტატია დაყოფილია შემდეგ ნაწილებად:

- შესავალი;
- პრინციპებზე დაფუძნებული ჩარჩო;
- ურთიერთკავშირი დაინტერესებულ მხარეებთან.

შესავალი

ზემოაღნიშნული ჩარჩო დოკუმენტი მომზადდა სამთვლიანი საერთაშორისო მასშტაბის კონსულტაციებისა და 25 ქვეყანაში ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ეს ჩარჩო დოკუმენტი ადგენს პრინციპებსა და კონცეფციებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ორგანიზაციებმა ინტეგრირებულ ანგარიშის მომზადებისას. ინტეგრირებული ანგარიშში აღწერილია, როგორ იქმნება ორგანიზაციის ღირებულება, ორგანიზაციის სტრატეგიის, მართვის მექანიზმების, მისი საქმიანობის შედეგებისა და პერსპექტივის მეშვეობით. ანგარიშში მოცემული არ არის ამ საკითხების შედარებითი ანალიზი და იგი, პირველ რიგში, განკუთვნილია კერძო სექტორისთვის, თუმცა შესაძლებელია მისი ადაპტირება და სახელმწიფო სექტორსა და არაკომერციულ ორგანიზაციებში ადაპტირებული სახით გამოყენება.

ინტეგრირებული ანგარიშის ძირითადი მიზანია, ფინანსური კაპიტალის პროვაიდერებს აუხსნას, როგორ ქმნის ორგანიზაცია ღირებულებას წლების მანძილზე. ინტეგრირებულ ანგარიშს სარგებელი მოაქვს ყველა დაინტერესებული მხარისთვის, რომელსაც აინტერესებს, როგორი უნარი გააჩნია კონკრეტულ კომპანიას, ღირებულების შექმნის თვალსაზრისით, მათ შორის თანამშრომლებს, კომპანიის მომხმარებლებს, მომწოდებლებს, საქმიან პარტნიორებს, ადგილობრივ საზოგადოებას, კანონმდებლებს, მარეგულირებელ ორგანოებსა და პოლიტიკოსებს, თუმცა ეს ანგარიში ყველა დაინტერესებულ მხარეზე არ არის პირდაპირ ორიენტირებული. ფინანსური კაპიტალის მომწოდებლებს არსებითი გავლენის მოხდენა შეუძლიათ კაპიტალის განაწილებაზე და იმის მცდელობა, რომ ინტეგრირებული ანგარიში გამიზნული ყოფილიყო ყველა დაინტერესებული მხარისთვის, არარეალური, განუხორციელებელი ამოცანა იქნებოდა – ამით შეცირდებოდა/შევიწროვდებოდა ანგარიშის ფოკუსი და გაიზრდებოდა მისი მოცულობა. ამგვარი მიდგომა წინააღმდეგობაში მოვიდოდა ანგარიშის მიზნებთან, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის ღირებულების შექმნა.

გასული პერიოდების ფინანსურ ანგარიშებს არსებითი მნიშვნელობა აქვს კორპორაციული ანგარიშებისთვის, განსაკუთრებით შესაბამისობის მიზნებისთვის, მაგრამ ფინანსური ანგარიშება არ შეიცავს ისეთ მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც კომპანიის ღირებულებას ეხება. მომხმარებლებს ესაჭიროებათ უფრო შორსმჭვრეტელი საიმედო მიდგომა/ხედვა, რომელიც არ ეყრდნობა თვითონ კომპანიის მიერ გამოთვლილ მოკლევადიან თუ გრძელვადიან პროგნოზებს. კომპანიებმა უკვე გაიცნობიერეს, რამდენად მნიშვნელოვანი და სასარგებლოა კომპანიის ღირებულების სრული სურათისა და კომპანიის ერთიანი ხედვის წარმოჩენა.

საერთაშორისო ინტეგრირებული ანგარიშგების ჩარჩო დოკუმენტი ხელს შეუწყობს ისეთი ანგარიშის მომზადებას, რომელიც გვიჩვენებს კომპანიის საქმიანობის შედეგებს/ეფექტიანობას მის სტრატეგიასთან შედარებით, აგვისნის, რა ტიპის კაპიტალს იყენებს კომპანია და წარმოაჩენს კომპანიის გრძელვადიან სურათს. ინტეგრირებული ანგარიში ქმნის ახალი თაობის წლიურ ანგარიშს, რადგან იგი დაინტერესებულ მხარეებს საშუალებას აძლევს, უფრო გათვითცნობიერებულად და კომპეტენტურად შეაფასონ კომპანია, მისი საქმიანობა/ღირებულება და პერსპექტივა.

პრინციპებზე დაფუძნებული ჩარჩო

საერთაშორისო ინტეგრირებული ანგარიშგების საბჭომ შეიმუშავა პრინციპებზე დაფუძნებული ჩარჩო და არ განსაზღვრა ანგარიშში გასამუდგენელი დეტალური ინფორმაციისა და შეფასების სტანდარტი. ამგვარი მიდგომა თითოეულ კომპანიას რეალურად საკუთარი ანგარიშის მომზადების საშუალებას აძლევს, ნაცვლად იმისა, რომ გამოეყენებინა „საკონტროლო კითხვარის“ მიდგომა. კორპორაციული კულტურის ცვლილებამ კომპანიებს საშუალება უნდა მისცეს, იმაზე უკეთ წარმოადგინონ ინფორმაცია, მათ მიერ შექმნილი ღირებულების შესახებ, ვიდრე ეს შესაძლებელია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გამუდგანებული ფინანსური ინფორმაციით, რაც ხშირად შაბლონური ხასიათისაა. ინტეგრირებული ანგარიში თამაშობს პლატფორმის როლს, რომელიც გვიხსნის, რა ქმნის ძირითად ღირებულებას კონკრეტულ კომპანიაში და როგორ იცავს მას კომპანიის ხელმძღვანელობა. ამგვარი მიდგომით მომზადებული ანგარიში გაცილებით უფრო აქტუალურია ბიზნესისთვის, ვიდრე ამჟამად გამოყენებული მიდგომა, რომელიც ეყრდნობა მოთხოვნების დაცვას.

ინტეგრირებული ანგარიში ვერ შეცვლის სხვა ფორმის ანგარიშგებებს, მაგრამ მისი მომზადებისა და გამოქვეყნების იდეა ის არის, რომ ის, ვინც ამ ანგარიშებს ამზადებს, ერთად მოუყრიან თავს ყველანაირ შესაფერის ინფორმაციას, რომელიც უკვე შექმნილი/მიღებული აქვთ, რათა დაინტერესებულ მხარეებს აუხსნან, რა ძირითადი ფაქტორები ქმნის მათ ღირებულებას. ანგარიშში მხოლოდ ისეთი ინფორმაცია აისახება, რომელიც არსებითია დაინტერესებული მხარეებისთვის იმ თვალსაზრისით, რომ შეძლონ კომპანიის/ბიზნესის შეფასება. გარკვეული მხარეები შემოფოთებას გამოხატავენ, რადგან მიაჩნდათ, რომ ტერმინს „არსებითი“ გარკვეული სამართლებრივი ქვეტექსტი/დატვირთვა ჰქონდა, რის გამოც ზოგიერთ კომპანიას შეიძლება ეფიქრა, რომ ინტეგრირებულ ანგარიშში ნორმატიული/სამართლებრივი ინფორმაცია უნდა ჩაერთო. თუმცა, საერთაშორისო ინტეგრირებული ანგარიშგების საბჭო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამ კონტექსტში ისევ უნდა გამოეყენებინათ ტერმინი „არსებითი“, რადგან კარგად ცნობილი და გასაგებია.

ინტეგრირებული ანგარიშის მიზანია, დაინტერესებულ მხარეებს წარმოდგენა შეუქმნას, კომპანიის რესურსებისა და ურთიერთკავშირების ანუ კომპანიის კაპიტალის შესახებ და ასევე იმის თაობაზე, როგორ ურთიერთქმედებს კომპანია ღირებულების შესაქმნელად გარე გარემოსთან და სხვადასხვა ტიპის თავის კაპიტალთან. კაპიტალი შეიძლება იყოს ფინანსური, სანარმოო, ინტელექტუალური, ადამიანური, სოციალური და ბუნებრივი, თუმცა, აუცილებელი არაა, რომ კომპანიებმაც ამგვარი კლასიფიკაცია გამოიყენონ. ინტეგრირებული ანგარიშგების ჩარჩო დოკუმენტის მიზანია, დაადგინოს ამ ანგარიშის მარეგულირებელი პრინციპები და შინაარსი და ახსნას ის ძირითადი კონცეფციები/ცნებები, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ პრინციპებს. ანგარიში უნდა იყოს მოკლე, საიმედო და სრული, დაბალანსებულად უნდა მოიცავდეს ყველა არსებით საკითხს, როგორც პოზიტიურს, ისე ნეგატიურს და არ უნდა შეიცავდეს არსებით შეცდომას.

ინტეგრირებული ანგარიში მომზადებული უნდა იყოს შემდეგი ძირითადი კომპონენტების გათვალისწინებით:

1. ორგანიზაციისა და იმ გარემოს მოკლე მიმოხილვა, რომელშიც ის საქმიანობს;
2. ორგანიზაციის მართვის სტრუქტურა და იმის ახსნა, ხელს როგორ უწყობს არსებული სტრუქტურა ღირებულების შექმნას;
3. ბიზნესმოდელის აღწერა;
4. რისკები და შესაძლებლობები, როგორ ხდება მათი მართვა და რა გავლენას ახდენს ისინი კომპანიის უნარზე, შექმნას ღირებულება;
5. სტრატეგია და რესურსების განაწილება;
6. სტრატეგიული მიზნების რეალიზება და მიღწევები პერიოდის მანძილზე და შედეგები;
7. კომპანიის პერსპექტივები და პრობლემები და მათი გავლენა/შედეგები;
8. აუცილებელია განისაზღვროს ინტეგრირებული ანგარიშების წარდგენის საჭიროებები, მათ შორის, რა საკითხები უნდა ჩაირთოს ანგარიშში და როგორ უნდა მოხდეს ანგარიშის ელემენტების რაოდენობრივ მაჩვენებლებში გამოხატვა ან შეფასება.

ინტეგრირებული ანგარიშების ჩარჩო არ მოითხოვს ანგარიშში ცალ-ცალკე განყოფილებების გამოყოფას, მაგრამ მოითხოვს, რომ მიმოხილვა იყოს უმაღლესი დონის, რათა ანგარიშში გათვალისწინებული იყოს ყველა შესაფერისი ასპექტი. ჩარჩო დოკუმენტში განსაზღვრული შინაარსის (იხ. ზემოთ) ელემენტების ერთმანეთთან დაკავშირებით შეიძლება შეიქმნას ძირითადი სიუჟეტური ხაზი, თითოეულ კომპანიას შეუძლია თვითონ განსაზღვროს თავისი ანგარიშის ძირითადი ელემენტები იმგვარად, რომ თითოეული კომპანიის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია განსხვავებული იყოს.

ურთიერთკავშირი დაინტერესებულ მხარეებთან

ინტეგრირებულმა ანგარიშმა წარმოდგენა უნდა შეგვიქმნას, ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან ორგანიზაციის ურთიერთკავშირის ხასიათის ხარისხის შესახებ, მათ შორის, იმის თაობაზე, რამდენად აქვს გაცნობიერებული ორგანიზაციას მათი საჭიროებები და ინტერესები და როგორ და რამდენად ითვალისწინებს ამას თავის საქმიანობაში. გარდა ამისა, კომპანიის მიერ წლების მანძილზე მომზადებული ანგარიშები ერთმანეთთან თავსებადი უნდა იყოს, რათა შესაძლებელი იყოს მათი შედარება სხვა კომპანიებთან.

სამხრეთ აფრიკის ორგანიზაციები კორპორაციული ანგარიშების მომზადების საკითხში ერთ-ერთ ლიდერებად არიან აღიარებული და საფონდო ბირჟაზე კოტირებული ბევრი კომპანია და სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი მსხვილი კომპანიები უკვე აქვეყნებენ ინტეგრირებულ ანგარიშებს. ინტეგრირებული ანგარიში შეიძლება მომზადდეს ქვეყანაში არსებული შესაბამისობის მოთხოვნების, მაგალითად მმართველობის ანგარიშების შესაბამისად. თუ ამგვარი ანგარიში იმავდროულად მომზადებულია ინტეგრირებული ანგარიშის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, ან თუნდაც არ იყოს მომზადებული ამ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, ეს ანგარიში მაინც შეიძლება მიჩნეული იყოს ინტეგრირებულ ანგარიშად. ინტეგრირებული ანგარიში შეიძლება იყოს დამოუკიდებელი, განცალკევებული ანგარიში, ან ჩართული იყოს რომელიმე სხვა ანგარიშში, ან რამე ტიპის საინფორმაციო დოკუმენტში, მაგრამ ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი ნათლად გამიჯვნა/გამორჩევა ამ ანგარიშის შემადგენელი სხვა ნაწილებისგან. მაგალითად, ინტეგრირებული ანგარიში შეიძლება გაერთიანებული იყოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშებთან.

საერთაშორისო ინტეგრირებული ანგარიშების საბჭომ განიხილა კომპანიების მიერ შექმნილი ღირებულებისა და მისი შექმნის პროცესის ბუნება. ეს ტერმინები შეიძლება მოიცავდეს მთლიანად ყველა ტიპის კაპიტალს, კომპანიის მიერ მიღებულ სარგებელს, საბაზრო ღირებულებას ან კომპანიის ფულად ნაკადებსა და კომპანიის წარმატებას დასა-

ხული მიზნების მიღწევაში. თუმცა, საბჭო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჩარჩო დოკუმენტში ღირებულება არ უნდა იყოს განმარტებული რომელიმე კონკრეტული პოზიციიდან/თვალთახედვიდან, რადგან ღირებულება დამოკიდებულია თითოეული კომპანიის საკუთარ მოსაზრებაზე/ხედვაზე. ამ ღირებულების ჩვენება/წარმოჩენა შესაძლებელია კაპიტალის მოძრაობის მეშვეობით და შეიძლება განმარტოს, როგორც ღირებულება, რომელიც შექმნილია თვითონ კომპანიისთვის ან სხვებისთვის. საჭირო არ არის, ინტეგრირებულ ანგარიშში ეს ღირებულება რაოდენობრივად იყოს განსაზღვრული, რადგან ღირებულების შეფასება თვითონ მათ უნდა განახორციელონ, ვინც ინტეგრირებულ ანგარიშს გამოიყენებს.

ბევრი რესპონდენტის აზრით, უნდა არსებულიყო მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ ორგანიზაციის „მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს“ ელიარებიანათ თავიანთი პასუხისმგებლობა ინტეგრირებულ ანგარიშზე, რათა გარანტირებული ყოფილიყო ინტეგრირებული ანგარიშის საიმედოობა და სანდოობა. გარდა ამისა, მათ მიაჩნდათ, რომ ამგვარი მიდგომით ამაღლებოდა პასუხისმგებლობა/ანგარიშვალდებულება ინტეგრირებული ანგარიშის შინაარსზე.

საერთაშორისო ინტეგრირებული ანგარიშგების საბჭოს მიაჩნია, რომ ჩარჩო დოკუმენტში ამგვარი მოთხოვნის გათვალისწინებამ შესაძლოა დამატებითი საშიშროება გამოიწვიოს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება, მაგალითად გარკვეულ იურისდიქციებში მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვას და ასევე შეიძლება წარმოიშვას მალალი დონის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. გარდა ამისა, საერთაშორისო ინტეგრირებული ანგარიშგების საბჭომ მიიჩნია, რომ ზემოხსნებულმა პრობლემებმა შესაძლოა შეანელოს ინტეგრირებული ანგარიშის განხილვის პროცესი და გადაწყვიტა, რომ დროთა განმავლობაში „მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს“ მაინც უნდა მოეთხოვოთ ინტეგრირებულ ანგარიშზე პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, თუმცადა, მეორე მხრივ, ისეთი ანგარიშების აღიარება, რომლის შექმნაშიც მათ მონაწილეობა არ მიუღიათ, ნდობას არ დაიმსახურებს.

კონსულტაციების დროს განიხილებოდა საკითხი იმის თაობაზე, ჩარჩო დოკუმენტი შეიცავს თუ არა შესაფერის კრიტერიუმებს ანგარიშის მოსამზადებლად და მის შესახებ რწმუნების მისაღებად (აუდიტის შედეგად). დასმული კითხვები კონკრეტულად ეხებოდა შეფასების სტანდარტებს, რომლებიც უნდა გამოეყენებინათ ანგარიშში ინფორმაციის წარსადგენად და ასევე იმას, ანგარიშის შემდგენლები როგორ უნდა დარწმუნებულიყვნენ ანგარიშის სისრულეში.

ზოგიერთი რესპონდენტი შეშფოთებას გამოხატავდა იმასთან დაკავშირებით, როგორ მოხდებოდა მომავლის შესახებ ინფორმაციის შეფასება და საბჭოს შესთავაზეს, რომ გარკვეული კრიტერიუმები განესაზღვრა, რომლებსაც გამოიყენებდნენ შეფასებაში და შედეგების დიაპაზონის დასადგენად და რომ აუცილებელი უნდა ყოფილიყო ანგარიშში სანდოობის ინტერვალების გამჟღავნება. ინტეგრირებული ანგარიშის მომზადება საჭიროებს განსჯას და ამის საფუძველზე გარკვეული დასკვნების გამოტანას/გადაწყვეტილებების მიღებას, მაგრამ ჩარჩო დოკუმენტი შეიცავს მითხოვნას იმის თაობაზე, რომ ანგარიშში აღწერილი უნდა იყოს მისი მომზადებისა და წარდგენის საფუძველი, მათ შორის მნიშვნელოვანი საფუძვლები და მეთოდები, რომლებიც გამოყენებული იყო ანგარიშში წარმოდგენილი საკითხების რაოდენობრივი შეფასებისთვის, ან შეფასებისთვის. გარდა ამისა, ანგარიშში რეზიუმეს სახით მოკლედ უნდა იყოს აღწერილი ანგარიშგების საზღვრები და როგორ განსაზღვრა კომპანიამ არსებითობის ზღვრები.

საერთაშორისო ინტეგრირებული ანგარიშგების საბჭომ განაცხადა, რომ ჩარჩო დოკუმენტში ეფექტიანობის რაიმე მაჩვენებლებისა და შეფასების მეთოდების ზუსტად განსაზღვრა წინააღმდეგობაში მოდის პრინციპებზე დაფუძნებული ჩარჩო დოკუმენტის არსთან და მიზანთან. ინტეგრირებული ანგარიშის ჩარჩო დოკუმენტი შეიცავს ინფორმაციას, პრინციპებზე დაფუძნებული მიდგომის შესახებ და მითითებულია, რომ ანგარიშში რაოდენობრივი მაჩვენებლების მოყვანა აუცილებელია ყოველთვის, როდესაც პრაქტიკულად ამის გაკეთება შესაძლებელია. გარდა ამისა, ხაზგასმულია, რომ პირველხარისხოვანი

მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ ურთიერთთავსებადი იყოს სხვადასხვა ანგარიშში გამოყენებული შეფასების მეთოდები და მოცემულია მოკლე მითითებები იმის თაობაზე, როგორ უნდა მოხდეს შესაფერისი რაოდენობრივი მაჩვენებლების შერჩევა.

კომპანიამ უნდა იმსჯელოს და თვითონ გადაწყვიტოს, რა სახით აღწერს ანგარიშში წარმოდგენილ ინფორმაციას და გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ მნიშვნელოვანი ზიანი არ მიაღწევს კომპანიის კონკურენციულ უპირატესობას. კომპანიამ კარგად უნდა გააანალიზოს, რა უპირატესობის მიღება შეუძლია, ფაქტობრივად, კონკურენტი კომპანიას, როდესაც გაეცნობა ინტეგრირებულ ანგარიშში მოცემულ ინფორმაციას და ამიტომ კონკურენტუნარიანობის უსაფრთხოება უნდა დააბალანსოს ინფორმაციის გამჟღავნების აუცილებლობასთან.

კომპანიები ყველანაირად ცდილობენ, რომ თავიანთი ღირებულების შესახებ ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეთა ყურამდე მიიტანონ, ინტეგრირებული ანგარიშის მეშვეობით. ინტეგრირებული ანგარიშის ჩარჩო დოკუმენტი შესაძლოა საუცხოო, ეფექტური ინსტრუმენტი აღმოჩნდეს იმ საწარმოთათვის, რომლებიც ცდილობენ, თავიანთ ანგარიშში წლიური ფინანსური შედეგების ნაცვლად, აქცენტი გადაიტანონ აქციონერთათვის ღირებულების შექმნაზე ხანგრძლივად. ეს ჩარჩო დოკუმენტი შესაძლოა მიმზიდველი იყოს იმ კომპანიებისთვისაც, რომლებსაც სურთ ნარატიული ანგარიშის შემუშავება ბიზნესმოდელის შესახებ, რათა დაინტერესებულ მხარეებს გააგებინონ, როგორ ვითარდებოდა მათი კომპანია/ბიზნესი.

სტატია მოამზადა სტრატეგიული ბიზნესლიდერის
მოდულის საგამოცდო კომისიის წევრმა,
2018 წლის ნოემბერი

კანონები და სხვა ნორმატიული აქტები

მოდულები „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება“ და „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება“ (უმაღლესი დონე)

გარე აუდიტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია იმის განხილვა, ფინანსური ანგარიშგების დამკვეთმა დაიცვა თუ არა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში (და, მაშასადამე, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას) კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების (ანუ, ზოგადად, კანონმდებლობის) მოთხოვნები. ამ საკითხებს არეგულირებს ასს 250 (გადასინჯული) – „კანონმდებლობის გათვალისწინება ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს“.

აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების მოდულის გამოცდისთვის მზადებისას, მნიშვნელოვანია კანდიდატებმა გაიცნობიერონ, რომ კანონები და სხვა ნორმატიული აქტები აუდიტზე გავლენას ახდენს არა მარტო იმ თვალსაზრისით, რომ აუდიტი უნდა ჩატარდეს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, არამედ იმ კუთხითაც, რომ აუდიტორს კარგად უნდა ესმოდეს დამკვეთის ხელმძღვანელობისა და თავისი პასუხისმგებლობა, კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვასთან მიმართებით.

როგორც აღნიშნულია ასს 250-ში (გადასინჯული), აუდიტორის მიზანია:

- მოიპოვოს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, რომლებიც ეხება იმ კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვას, რომლებიც, როგორც წესი, მიჩნეულია, რომ უშუალო გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი არსებითი თანხების ოდენობისა და გასამჟღავნებელი ინფორმაციის განსაზღვრაზე;
- ჩაატაროს მითითებული აუდიტორული პროცედურები, რომლებიც მიმართულია ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დარღვევის შემთხვევების გამოვლენაზე, რომლებსაც შეუძლია არსებითი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე; და
- სათანადო რეაგირება მოახდინოს კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენილ, ან საეჭვო შემთხვევებზე, რომლებიც გამოვლინდება აუდიტის მსვლელობისას (მე-11 პუნქტი).

სტანდარტში ტერმინი „დარღვევა“ განმარტებულია შემდეგნაირად:

„დარღვევა – წინასწარგანზრახული ან უნებლიე ქმედება, ან ამა თუ იმ ვალდებულების უგულებელყოფა სამეურნეო სუბიექტის, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების, ხელმძღვანელობის ან სხვა პირთა მიერ, რომლებიც მუშაობენ სამეურნეო სუბიექტისთვის, ან მისი ხელმძღვანელობით, რომელიც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. დარღვევაში არ იგულისხმება პირადი არამართლზომიერი საქციელი, რომელიც დაკავშირებული არ არის სამეურნეო სუბიექტის სამენარმო საქმიანობასთან“.

ხელმძღვანელობისა და აუდიტორის პასუხისმგებლობა კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვაზე

კანდიდატებს კარგად უნდა ჰქონდეთ გაცნობიერებული, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა კანონმდებლობის დაცვაზე და ვის ეკისრება პასუხისმგებლობა კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევების გამოვლენაზე. საზოგადოდ, სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობას პასუხისმგებლობა ეკისრება, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, სამეურნეო სუბიექტის საქმიანობა წარმართოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. აუდიტორი არ არის პასუხისმგებელი კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევების აღკვეთასა და გამოვლენაზე (აუდიტორის პასუხისმგებლობა, მოიპოვოს

დასაბუთებული რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება, მთლიანობაში, არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას – ეს ევალეზა აუდიტორს).

აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების (ყოფილი F8) 2017 წლის დეკემბრის გამოცდაზე, ზუსტად ამ საკითხზე ერთ-ერთ სცენარს ჰქონდა 4-ქულიანი მოთხოვნა:

„ახსნით, რა პასუხისმგებლობა ეკისრებათ ხელმძღვანელობასა და აუდიტორებს კომპანია „ჩაქ ინდასტრის“ მიერ კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დაცვასთან მიმართებით, ასს 250-ის – „კანონმდებლობის გათვალისწინება ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს“ – შესაბამისად.

ეს მოთხოვნა დაკავშირებული იყო მოკლე სცენართან, რომელიც ეხებოდა „ჩაქ ინდასტრის“. კომპანიაში შემოწმებაზე მოსულმა საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელმა აღმოაჩინა, რომ ხელფასებიდან არასწორი თანხები იყო დაკავებული, რადგან გათვალისწინებული არ იყო საშემოსავლო გადასახადის ახალი განაკვეთი, რომელიც მიმდინარე წელს შეიცვალა წინა წელთან შედარებით. აუდიტორები შეეკითხნენ ფინანსურ დირექტორს, რატომ არ გამოავლინეს მათ საგადასახადო კანონის დარღვევის ეს შემთხვევა.

ამ კითხვაზე სწორი, სრულყოფილი პასუხის გასაცემად, კანდიდატებს:

- უნდა სცოდნოდან, რომ „ჩაქ ინდასტრის“ ხელმძღვანელობას ევალეზოდა კომპანიის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით (ცხადია, ეს ეხებოდა საგადასახადო კანონსაც);
- უნდა დაეფიქსირებინათ, რომ აუდიტორი არ არის პასუხისმგებელი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დარღვევის შემთხვევების აღკვეთასა და ამგვარი შემთხვევების გამოვლენაზე;
- პასუხში უნდა აღენიშნათ, რომ აუდიტორის პასუხისმგებლობაა, მოიპოვოს დასაბუთებული რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება, მთლიანობაში, არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ამ მიზნის მისაღწევად კი აუდიტორები იხილავენ და ითვალისწინებენ იმ იურისდიქციის საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის დებულებებს, სადაც დამკვეთი სამეურნეო სუბიექტი საქმიანობს.

ასევე უნდა მიეთითებინათ, რა სახის პასუხისმგებლობა ეკისრებათ აუდიტორებს ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების გათვალისწინებაზე, რომლებიც მიჩნეულია, რომ **უშუალო გავლენას ახდენს ან არ ახდენს** ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი არსებითი თანხების ოდენობისა და გასამჟღავნებელი ინფორმაციის განსაზღვრაზე (ვინაიდან ასს 250-ში კანონები და სხვა ნორმატიული აქტები დაყოფილია სწორედ ამგვარ კატეგორიებად).

კანონები და სხვა ნორმატიული აქტები, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენს ან არ ახდენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაზე

ნებისმიერ იურისდიქციაში არსებობს მრავალი ისეთი კანონი და სხვა ნორმატიული აქტი, რომელთა დაცვაც ევალეზა სამეურნეო სუბიექტს იმისთვის, რომ უბრალოდ საქმიანობა გააგრძელოს. მაგალითად, ბევრი კომპანია ვალდებულია, დაიცვას ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების შესახებ არსებული კანონმდებლობა; კვების პროდუქტების მწარმოებელი კომპანიების საქმიანობა მკაცრად რეგულირდება, ჰიგიენის ნორმების დაცვის კუთხით, ხოლო აუდიტური ფირმა ვალდებულია, დაიცვას აუდიტორთა თვითრეგულირებადი ორგანიზაციის პროფესიული ეთიკის კოდექსი.

როგორც საგამოცდო კითხვის პასუხში აღვნიშნეთ (იხ. ზემოთ), ზოგიერთი კანონისა და სხვა ნორმატიული აქტის დებულებები **უშუალო გავლენას ახდენს** ფინანსურ ანგარიშგებაზე, ხოლო სხვები მართალია უშუალო გავლენას არ ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხების ოდენობისა და გასამჟღავნებელი ინფორმაციის განსაზღვრაზე, მაგრამ შეიძლება მათ დაცვას ფუნდამენტური მნიშვნელობა ჰქონდეს

სამენარმო საქმიანობის გარკვეული ასპექტებისთვის, კერძოდ, სამეურნეო სუბიექტის შესაძლებლობისთვის, განაგრძოს საქმიანობა, ან თავიდან აიცილოს არსებითი საჯარიმო სანქციები.

ასს 250-ის თანახმად, აუდიტორმა უნდა მოიპოვოს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვის მდგომარეობაზე, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე (როგორცაა, მაგალითად საგადასახადო და საპენსიო კანონები და სხვა ნორმატიული აქტები).

ხელფასების დანახარჯების აუდიტის დროს, აუდიტორმა აუცილებლად უნდა მოიპოვოს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ სამეურნეო სუბიექტმა სწორად გამოიყენა საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნები, რადგან თუ ასე არ არის (როგორც ვნახეთ ზემოთ განხილულ საგამოცდო კითხვაში), არსებობს რისკი იმისა, რომ სამეურნეო სუბიექტს საჯარიმო სანქციებს დააკისრებენ და საჯარიმო თანხა შესაძლოა არსებითი იყოს, ცალკე აღებული ან ფინანსური ანგარიშგების სხვა უზუსტობებთან ერთად. გარდა ამისა, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებიც დამახინჯებული იქნება კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევის შედეგად.

რაც შეეხება ისეთ კანონებსა და სხვა ნორმატიულ აქტებს, რომლებიც უშუალო გავლენას არ ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, მაგრამ შეიძლება მათ დაცვას ფუნდამენტური მნიშვნელობა ჰქონდეს სამენარმო საქმიანობის გარკვეული ასპექტებისთვის, სამეურნეო სუბიექტის შესაძლებლობისთვის, განაგრძოს საქმიანობა, ან თავიდან აიცილოს არსებითი საჯარიმო სანქციები და, მაშასადამე, ამგვარი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დარღვევამ შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე – აუდიტორმა პროცედურები უნდა ჩაატაროს იმ მიზნით, რომ გამოავლინოს ამგვარი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დარღვევის შემთხვევები.

ასს 250-ში 6(ბ) პუნქტში ამასთან დაკავშირებით მოყვანილია შემდეგი მაგალითები:

- საქმიანობის ლიცენზიის პირობების დაცვა;
- მარეგულირებელი ორგანოების მოთხოვნების დაცვა, რომლებიც ეხება გადახდისუნარიანობის შენარჩუნებას; და
- გარემოს დაცვის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების დაცვა.

ზოგ შემთხვევაში, აუდიტორებისთვის საკმაოდ რთულია კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევების გამოვლენა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც დარღვევა დაკავშირებულია თაღლითობასთან ან ფულის გათეთრებასთან (ანუ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციასთან) (ამ საკითხს მოგვიანებით ამავე სტატიაში განვიხილავთ).

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას მთელი აუდიტის განმავლობაში, ასს 200-ის მოთხოვნების შესაბამისად, იმ კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოცულობის გათვალისწინებით, რომლებიც გავლენას ახდენს სამეურნეო სუბიექტზე. გარდა ამისა, აუდიტორმა კარგად უნდა გაიცნობიეროს და მუდამ ახსოვდეს, რომ, ზოგადად, აუდიტის პროცესში ნებისმიერი აუდიტორული პროცედურის ჩატარების შედეგად, რომლებიც აუდიტორმა დაგეგმა სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების შესახებ მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად, შესაძლოა გამოვლინდეს კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევები, ან ინფორმაცია მიიღოს, კანონმდებლობის დარღვევის საეჭვო შემთხვევების შესახებ. ასეთი პროცედურების მაგალითებია:

- დირექტორთა საბჭოს სხდომების ოქმების გაცნობა;
- სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობისა და სამეურნეო სუბიექტში მომუშავე, ან გარედან მოწვეული იურისტების გამოკითხვა სასამართლო პროცესების, პრეტენზიებისა და საჯარო კომპენსაციის, ან სასამართლოს მოსალოდნელი გადანაცვტილების შეფასებების შესახებ; და

- ძირითადი ტესტების ჩატარება ოპერაციების კატეგორიების, ნაშთების ან განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებული ინფორმაციის შემადგენელ ელემენტებზე.

ინფორმირება და ანგარიშის წარდგენა, კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენილი ან საეჭვო შემთხვევების შესახებ

აუდიტორმა მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს უნდა გააცნოს და მათთან ერთად განიხილოს (თუ ამის გაკეთება კანონმდებლობით არ იკრძალება) საკითხები, რომლებიც ეხება კანონმდებლობის დარღვევას და აუდიტორისთვის ცნობილი გახდა აუდიტის მსვლელობისას.

თუ აუდიტორს ეჭვი აქვს, რომ ხელმძღვანელობა, ან მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები მონაწილეობდნენ კანონმდებლობის დარღვევაში, აუდიტორმა ამ საკითხის შესახებ უნდა შეატყობინოს სამეურნეო სუბიექტის მართვის სტრუქტურაში ერთი დონით ზემდგომ სტრუქტურას (მმართველ ორგანოს), თუკი ასეთი არსებობს, როგორცაა აუდიტის კომიტეტი ან სამეთვალყურეო საბჭო. თუ ამგვარი ზემდგომი იერარქიული სტრუქტურა არ არსებობს, ან აუდიტორს მიაჩნია, რომ ამ შეტყობინების შედეგად არანაირი ზომები არ გატარდება, ან დარწმუნებული არ არის, კონკრეტულად ვის უნდა მიმართოს, აუდიტორმა უნდა განიხილოს, მიზანშეწონილია თუ არა ამ საკითხებთან დაკავშირებით იურიდიული კონსულტაციის გავლა.

გარდა ამისა, აუდიტორი ვალდებულია განიხილოს, კანონმდებლობის დარღვევა არსებით გავლენას ახდენს თუ არა ფინანსურ ანგარიშგებაზე და შეაფასოს ამ სიტუაციის შესაძლო გავლენა აუდიტორის დასკვნაზეც.

იმ შემთხვევაში, თუ აუდიტორი გამოავლენს კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევებს, ან ეჭვი გაუჩნდება ამის თაობაზე, მან უნდა დაადგინოს, კანონებსა და სხვა ნორმატიულ აქტებში, ან პროფესიული ეთიკის კოდექსში არსებობს თუ არა ისეთი დებულებები, რომლებიც აუდიტორს ავალდებულებს სამეურნეო სუბიექტის გარე შესაბამისი ორგანოს ინფორმირებას ამ საკითხების შესახებ, ან ხომ არ ადგენს აუდიტორისთვის ისეთ პასუხისმგებლობას, რომლის თანახმადაც, მოცემულ გარემოებებში, შეიძლება მიზანშეწონილი იყოს სამეურნეო სუბიექტის გარე სათანადო ორგანოსთვის ანგარიშის წარდგენა.

პრაქტიკაში გვხვდება ისეთი სიტუაციებიც, როდესაც აუდიტორის კონფიდენციალობის შენარჩუნებას შეიძლება ხელს უშლიდეს რომელიმე კანონი, ნორმატიული აქტი ან სასამართლოს გადაწყვეტილება, მაგალითად, თუ აუდიტორი გამოავლენს კანონმდებლობის დარღვევას, რომელიც დაკავშირებულია ფულის გათეთრებასთან (უკანონო, დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციასთან), ან ნარკოტიკული საშუალებების კონტრაბანდასთან.

ფულის გათეთრება

ACCA-ის ეთიკისა და ქცევის კოდექსში ფულის გათეთრება განმარტებულია შემდეგნაირად:

„ფულის გათეთრება არის პროცესი, რომლის მეშვეობით დამნაშავეები ცდილობენ უკანონო გზით მოპოვებული შემოსავლების ჭეშმარიტი წყაროსა და ქონების დამალვას, რაც მათ საშუალებას აძლევს, შეინარჩუნონ კონტროლი ამ შემოსავლებზე და, საბოლოოდ, ლეგიტიმური გახადონ თავიანთი შემოსავლის წყაროები“.

აუდიტორებმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ იმ შემთხვევაში, თუ აუდიტის პროცესში ეჭვი გაუჩნდებათ იმის თაობაზე, რომ შესაძლოა დამკვეთი მონაწილეობს ფულის გათეთრებაში. ასევე განსაკუთრებული ყურადღება მართებთ მაშინაც, როდესაც სამეურნეო სუბიექტის საქმიანობაში, რომლის აუდიტსაც ატარებენ, ძირითადად, ნაღდი ანგარიშსწორების ფორმა გამოიყენება, რაც პოტენციურად ფულის გათეთრების შესაძლებლობას ქმნის.

როგორც წესი, არსებული პრაქტიკის მიხედვით, ფულის გათეთრება სამეტაპიანი პროცესია:

- **განთავსება.** ეს გულისხმობს უკანონო წყაროებიდან, დანაშაულებრივი გზით მიღებული ფულის განთავსებას (ჩართვას) ლეგალურ ფინანსურ სისტემაში;
- **დანაწევრება.** დანაშაულებრივი შემოსავლების კავშირის განწყვეტა მათ წყაროებთან, მრავალრიცხოვანი ფინანსური ოპერაციების რთული ქსელის მეშვეობით, ფულადი სახსრების უკანონო წყაროს შესანიშნავად ისე, რომ ძალიან ძნელია მისი თავდაპირველი წყაროს გამოვლენა;
- **ინტეგრაცია.** ეს არის ფულის გათეთრების საბოლოო ეტაპი ანუ „შავი“ ფულის ინვესტირება ეკონომიკის ლეგალურ სექტორში.

ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული სამართალდარღვევების მაგალითები:

- კრიმინალური საკუთრების დამალვა;
- დანაშაულებრივი/უკანონო ქონების შეძენა, გამოყენება და ფლობა;
- მონაწილეობა შეთანხმებაში, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს კრიმინალური საკუთრების შეძენაში დახმარებასთან.

ფულის გათეთრება სისხლის სამართლის დანაშაულია ბევრ ქვეყანაში. ამიტომ თუ აუდიტორს ან ბუღალტერს ეჭვი გაუჩნდება, შემოსავლების გათეთრების ქმედებასთან დაკავშირებით, მან სიტუაციის შესახებ უნდა აცნობოს ფულის გათეთრების საკითხებზე ანგარიშვალდებულ მუშაკს (MLRO) თავის ორგანიზაციაში, რომელსაც ევალება ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოსთვის. დიდ ბრიტანეთში ასეთი ორგანოა დანაშაულთან ბრძოლის ეროვნული სამსახური (სააგენტო).

პირები, რომლებიც ინფორმაციას არ მიაწვდიან ფულის გათეთრების საკითხებზე ანგარიშვალდებულ მუშაკს და ფულის გათეთრების საკითხებზე ანგარიშვალდებულ მუშაკს, რომელიც ინფორმაციას არ მიაწვდის შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს, არღვევენ კანონს.

ფულის გათეთრების ნიშნები, გარკვეულწილად, ჰგავს თაღლითური ქმედების ნიშნებს, მაგალითად:

- კომპანიის საკუთრების სტრუქტურა ზედმეტად რთულია, მისი საქმიანობის ხასიათისა და მასშტაბის ფონზე;
- კომპანიაში განხორციელებულია ისეთი ოპერაცია, რომელიც არ წარმოადგენს მისი ჩვეული საქმიანობის ნაწილს;
- ინტენსიურად გამოიყენება ნაღდი ანგარიშსწორების ფორმა, სათანადო დასაბუთების გარეშე;
- კომპანიას განხორციელებული აქვს ისეთი ოპერაცია, რომლის შესახებაც მცირე ახსნა არსებობს კომპანიაში ან ახსნა-განმარტებები არ არის დამაკმაყოფილებელი;
- ეკონომიკური დასაბუთება არ გააჩნია ოპერაციას, რომელიც განხორციელდა კომპანიის ჩვეული საქმიანობის ფარგლებში.

2016 წლის მარტი/ივნისის P7 (საერთაშორისო) წიგნის (ახლანდელი აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება, (უმაღლესი დონე)) სესიაზე, კანდიდატებს მიცემული ჰქონდათ სცენარი, სადაც მათ ეკავათ აუდიტის მენეჯერის პოზიცია. სალაროს წიგნის შემოწმებისას უფროსმა აუდიტორმა მონიშნა \$350,000-ის ფულის შემოსვლა, რომლის წყარო ვერ დადგინდა და რასაც მოჰყვა იმავე თანხის გადარიცხვა საბანკო ანგარიშზე სხვა ქვეყანაში. როდესაც ფინანსურ დირექტორს ჰკითხეს, მან უფროსი აუდიტორი გააგზავნა ბიზნესის მფლობელთან. დოკუმენტური მტკიცებულებები გამოითხოვეს, მაგრამ ჯერ არ იყო მოსული.

ამ კონკრეტულ კითხვაში ნახსენები არ იყო „ფულის გათეთრება“ სცენარში, არც კითხვის მოთხოვნაში; კანდიდატებს სთხოვდნენ, შეეფასებინათ ამ სიტუაციის გავლენა აუდიტზე (აუდიტორის დასკვნაზე) და განესაზღვრათ შემდგომი ქმედებები, რაც აუდიტორულ ფირმას უნდა განეხორციელებინა.

ის ფაქტი, რომ არც სცენარში და არც კითხვის მოთხოვნაში ნახსენები არ იყო ფულის გათეთრება, ასახავს იმ ფაქტს, რომ რეალურ ცხოვრებაში ამგვარი დანაშაულის ჩადენას ღიად არ აღიარებენ ის პირები, რომლებიც ფულს ათეთრებენ. ამგვარად, ფულის გათეთრება ძალიან ჰგავს (და, ზოგ შემთხვევაში, იდენტურიც არის) თაღლითობას. მაშასადამე, აუდიტორებმა უარი უნდა თქვან, ყურადღება არ უნდა მიაქციონ აუდიტის დამკვეთის კეთილსინდისიერებისა და პატიოსნების შესახებ თავიანთი შეხედულებებს და ამგვარ საკითხებთან მიმართებით შეინარჩუნონ სკეპტიკური დამოკიდებულება.


გაფრთხილება

ტერმინი „გაფრთხილება“ ნიშნავს ისეთ სიტუაციას, როდესაც ფულის გათეთრების საკითხებზე ანგარიშვალდებული მუშაკი დამკვეთს ინფორმაციას აწვდის იმის თაობაზე, რომ არსებობს ეჭვი ფულის გათეთრების შესახებ, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მიღებული ინფორმაციის შემოწმებას (ან გამოძიების პროცესს). კანონი კრძალავს აუდიტის დამკვეთის ინფორმირებას უკანონო, დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის სანინალმდეგოდ გატარებული ზომების შესახებ. აუდიტორს არ ევალება ყველა მტკიცებულების შეკრება და ფულის გათეთრების ფაქტის დამტკიცება. მას მხოლოდ ის ევალება, რომ მოიპოვოს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, შემოსავლების გათეთრების ეჭვის შესახებ.

დასკვნა

კანდიდატებს, რომლებიც გეგმავენ აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურებისა და უმაღლესი დონის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების მოდულების გამოცდის ჩაბარებას, ვურჩევთ სათანადო წარმოდგენა შეიქმნან კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებებზე არა მარტო სასწავლო პროგრამის ფარგლებში, არამედ რეალური სიტუაციის კონტექსტშიც, რაც მათ ცოდნის უფრო ფართოდ გამოყენების საშუალებას მისცემს.

სტატიის განახლებული ვერსია მოამზადა
აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების
(უმაღლესი დონე) საგამოცდო კომისიის წევრმა,
ჟურნალი „Student accountant“, 2018 წლის დეკემბერი



მცირე და საშუალო საბუღალტრო ფირმები კარგი კარიერული არჩევანია მომავლის ბუღალტრებისთვის

მცირე და საშუალო საბუღალტრო ფირმის წარმატების საწინდარს ციფრული ტრანსფორმაცია და ნიჭიერ კადრებზე წვდომა წარმოადგენს. ნიჭიერ კადრს აქვს პოტენციალი, განავითაროს და შეცვალოს ბუღალტრული პროფესია.

ACCA-მ, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ბუღალტერთა ასოციაციასთან (CA ANZ) ერთად გამოსცა ანგარიში, სახელწოდებით „კარიერა მცირე და საშუალო ზომის საბუღალტრო ფირმებში.“ ანგარიში ეყრდნობა 60-ზე მეტი ექსპერტის მოსაზრებას 20 სხვადასხვა ქვეყნიდან და, ძირითადად, კონცენტრირებულია ნიჭიერი კადრების მოზიდვაზე, განვითარებასა და შენარჩუნებაზე მცირე ზომის საბუღალტრო ფირმებში (SMP).

ანგარიშის ძირითადი მიგნებები მოიცავს:

- **უნარები და მიდგომები SMP-ში** – კარიერის ადრეულ ეტაპზე მნიშვნელოვანია ადაპტირების უნარი, განგრძობით სწავლებაში ჩართვის მზაობა და პასუხისმგებლობის გრძნობა. მნიშვნელოვანია, კანდიდატი თავს კომფორტულად გრძნობდეს ტექნოლოგიებთან, გააჩნდეს კრიტიკული აზროვნების უნარი და მეწარმის აზროვნება იმისათვის, რომ წარმატებით შეძლოს კარიერის აწყობა SMP-ში.
- **რეკრუტიგზე (სწორად შერჩეული კადრი) ორიენტირებული ბრენდი** ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც – კლიენტზე ორიენტირებული ბრენდი

– საჭიროა ნიჭიერი კადრების ძიების შესახებ SMP-ს გზავნილების მკაფიო კომუნიკაცია. ეს მნიშვნელოვანია ისეთი ფირმებისთვის, რომელთაც არ აქვთ სპეციალიზებული რესურსები ნიჭიერი კადრების მოზიდვისა და შერჩევისთვის. ასეთ კომპანიებში შერჩევისა და გასაუბრების პროცესი შესაძლოა დროის მნიშვნელოვან დანახარჯს უკავშირდებოდეს. აღნიშნული მიმართულებით განსაკუთრებულად ეფექტურად შესაძლებელია სოციალური ქსელების გამოყენება.

- **რეკრუტინგის ტექნიკის განვითარება** – მცირე ფირმების ნაწილი კვლავ იყენებს მოზიდვისა და შერჩევის ტრადიციულ მეთოდებს, როგორებიცაა რეზიუმეები და სამოტივაციო წერილები. თუმცა, ნაწილმა დანერგა ინოვაციური პრაქტიკა, რაც კანდიდატებისგან ვიდეომიმართვის ჩანერას მოითხოვს. აღნიშნული მეთოდი განსაკუთრებით ეფექტური აღმოჩნდა COVID-19-ის პანდემიის დროს.
- **ნიჭიერი კადრების განვითარება და შენარჩუნება** – ნიჭიერი კადრების შენარჩუნება მცირე ფირმებისთვის შესაძლოა განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენდეს. პერსონალის შენარჩუნებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს პროგრესის, სწავლისა და განვითარების შესაძლებლობების არსებობა. ბიზნესის საჭიროებებზე მორგებული უწყვეტი განვითარების კულტურის დამკვიდრება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია SMP-ებისთვის.
- **პოსტ-COVID-19 რეალობა** – პანდემიის კრიზისმა მკვეთრად გაზარდა ბიზნესის მოქნილობის მნიშვნელობა. ძლიერი ციფრული ბირთვის მქონე SMP-ებმა სწრაფად შეძლეს შეცვლილ გარემოზე მორგება. დისტანციურად მუშაობის კულტურის ქონა ძალიან გამოადგა მცირე ფირმების უმრავლესობას, რაც

ასევე რელევანტურია დისტანციური მენეჯმენტისა და ტრენინგების მიმართულებით.

ბრიტანული ბუღალტრული ფირმის დამფუძნებელი და კვლევის ერთ-ერთი მონაწილე, **ალასტარ ბარლო** ამბობს:

„უამრავი ფირმის მარკეტინგის ძირითადი მიზანია ახალი კლიენტების მოზიდვა. ჩვენ ადრეულ ეტაპზევე შევნიშნეთ, რომ ყველაზე დიდ სირთულეს კლიენტების მოზიდვა კი არა, შესაფერისი ადამიანების თავმოყრა წარმოადგენს. ჩვენი ძირითადი მიზანი პოტენციური გუნდის წევრების პოვნაა.“

რეკრუტინგი სირთულეს წარმოადგენდა მანამ, სანამ ჩვენ არ დავინწყეთ პირდაპირი მარკეტინგი კანდიდატებზე, რომლის ფარგლებშიც ჩვენი სამუშაო კულტურის შესახებ ინფორმაციას ვანვდიდით Twitter, LinkedIn-ისა და Youtube-ს გამოყენებით“.

ACCA-ის კვლევის ავტორი და SME პროფესიონალური ცოდნის მიმართულების თავმჯდომარე, **ალექსანდრა ზარონინა-კირილოვა** ამბობს:

„ჩვენ ამ ანგარიშის გამოცემით არა მხოლოდ მცირე ზომის ფირმებს ვურჩევთ ნიჭიერი კადრების მოზიდვას, განვითარებასა და შენარჩუნებას, არამედ ვაჩვენებთ ახალგაზრდა პროფესიონალებს, რომ მცირე კომპანიები შესაძლოა მათ კარიერაში შემდეგ ნაბიჯს წარმოადგენდეს პროფესიული განვითარების დამატებითი შესაძლებლობებით.“

CA ANZ-ის სტრატეგიული ჩართულობისა და განვითარების გენერალურმა მენეჯერმა განაცხადა:

„გლობალური SMP ლიდერებისგან მიღებული პირდაპირი ინფორმაცია ახალ შესაძლებლობებს ქმნის ბუღალტრული პროფესიისთვის, შევიძინოთ ცოდნა განვლილი გზიდან და დავგეგმოთ მომავალი.“

wyaro: *Accaglobal.com*

შიდა აუდიტორები ციფრული ტრანსფორმაციის ტემპს კარგავენ

ახალი გამოკითხვის თანახმად, შიდა აუდიტის დეპარტამენტები ამცირებენ ისეთი ახალი თაობის ტექნოლოგიების დანერგვის ტემპს, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი.

საკონსულტაციო ფირმა Protiviti-ს მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ გამოავლინა, რომ ისეთი შიდა აუდიტის ორგანიზაციების რიცხვი, რომლებიც ციფრული ტრანსფორმაციის ინიციატივებს ახორციელებენ, 60%-მდე შემცირდა. გასულ წელს აღნიშნული მაჩვენებელი 76%-ს შეადგენდა. 780-მდე გამოკითხული აუდიტის აღმასრულებელთაგან მხოლოდ 7% ამბობს, რომ ისინი ნერგავენ სწავლებადი პროგრამებისა და ხელოვნური ინტელექტის განახლებებს. რესპონდენტთა 53% კი ამბობს, რომ ამგვარი ცვლილებების შესახებ გეგმებიც არ აქვთ უახლოეს მომავალში.

კვლევა 2020 წლის პირველ კვარტალში დასრულდა, თუმცა გამოკითხვა გასული წლის ბოლო კვარტალში ჩატარდა, ახალი კორონავირუსის გავრცელებამდე. კვლევის გასაჯაროება დაგვიანდა, რათა მომხდარიყო შეცვლილი გარემოს პასუხად ბიზნესის ქცევის ასახვა.

თუმცა, Protiviti-ს ანგარიშში განმარტებულია, რომ COVID-19-მა გააძლიერა ტრადიციული შიდა აუდიტის ფუნქციებთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც შინაარსის დაკარგვის საფრთხის წინაშეა. პანდემიამ გაზარდა სიცარიელე, რომელიც არსებობდა შიდა აუდიტის ფუნქციებში ისეთ სფეროებში, როგორებიცაა მართვა, მეთოდოლოგია და ტექნოლოგია და თანამედროვე ორგანიზაციებისთვის საჭირო უნარები.

„ჩვენ ვაგრძელებთ ახალი თაობის შიდა აუდიტის პრაქტიკის დანერგვისა და უკმარისობის ამოვსების წახალისებას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა მართვა, მეთოდოლოგია და კომპეტენციები იმისათვის, რომ შიდა აუდიტის ფუნქციებმა ეფექტურად შეძლოს ორგანიზაციების დახმარება როგორც კრიზისულ პერიოდში, ისე – გრძელვადიან მომავალში,“ – განაცხადა ბრაიან ქრისტენსენმა, Protiviti-ს გლობალური შიდა აუდიტის აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა.

მას სჯერა, რომ ახალი თაობის აუდიტის ტექნოლოგიები პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს შიდა აუდიტის ფუნქციებში.

რესპონდენტთა მხოლოდ 10% ამბობს, რომ ისინი ეწევიან პროცესების „მაინინგს“ (ინფორმაციის შეგროვება) – ეს ანალიზის მეთოდია, რომელიც ტრანზაქციების შესახებ ინფორმაციას აგროვებს, ანალიზებს და მასზე დაყრდნობით ახდენს პროცესების ვიზუალიზაციას. რესპონდენტთა 41% კი ამბობს, რომ აღნიშნული ტექნოლოგიის დანერგვას არ გეგმავენ.

კითხვაზე, თუ როგორ აფასებენ საკუთარ კომპეტენციას ტექნოლოგიების სხვადასხვა ტიპებში, როგორიცაა რობოტიკა, პროცესების ავტომატიზაცია, პროცესების „მაინინგი“, კომპლექსური ანალიზი და ხელოვნური ინტელექტი, 5 მაქსიმალური ქულიდან რესპონდენტებმა საკუთარი თავი 2-3 ქულით შეაფასეს. შიდა აუდიტის ფუნქციების განვითარება და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ისეთი ძირითადი ბიზნესფუნქციების განვითარების ტემპს, როგორიცაა ფინანსური მენეჯმენტი.

wyaro: [accountingtoday.com](https://www.accountingtoday.com)



ვებგვერდი, 28/07/2020
სარეგისტრაციო კოდი
200000000.05.001.020010

საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს უფლება აქვს, შემოიღოს მხოლოდ ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი.“.

2. მე-6 მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ადგილობრივი გადასახადია ამ კოდექსით დაწესებული და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს ნორმატიული აქტით შემოღებული გადასახადი (ზღვრული განაკვეთების ფარგლებში), რომლის გადახდაც სავალდებულოა შესაბამისი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში.“.

3. მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. ადგილობრივი გადასახადის დაწესება, შემოღება, მისი გადახდის პირობების შეცვლა და გადასახადის გაუქმება“

1. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია შემოიღოს ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ამავე კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში.

2. მუნიციპალიტეტი ვალდებულია ადგილობრივი გადასახადის შემოღების, მისი გადახდის პირობების შეცვლის ან შემოღებული ადგილობრივი გადასახადის გაუქმების შესახებ ინფორმაცია და სათანადო ნორმატიული აქტის ასლი მისი გამოქვეყნებისთანავე გაუგზავნოს შემოსავლების სამსახურსა და შესაბამის საგადასახადო ორგანოებს.“.

4. მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სახელმწიფო ხელისუფლების, ეროვნული მარეგულირებელი და მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მათთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციების შესრულებასთან, გარდა ხელშეკრულების საფუძველზე ფასიანი მომსახურების გაწევისა;“.

5. მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) განხორციელებული სახელმწიფო ხელისუფლების და მუნიციპალიტეტის ორგანოთა მიერ;“.

6. 26¹ მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ტურისტული საწარმოს სტატუსის პირისათვის მინიჭების, ტურისტული საწარმოს ფუნქციონირებისა და გაუქმების წესს, აგრეთვე შენობის მთლიანი ფართობიდან სასტუმრო ნომრებად/აპარტამენტებად გამოსაყენებელი მინიმალური ფართობის ოდენობას მუნიციპალიტეტების მიხედვით ადგენს საქართველოს მთავრობა.“.

7. 49-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) სამსახურებრივი მიზნებისათვის სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ორგანოებისგან უსასყიდლოდ მიიღონ მონაცემები, ცნობები, დოკუმენტები და სხვა საჭირო ინფორმაცია. საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფო ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით;“.

8. 53-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საგადასახადო ვალდებულებად ითვლება პირის ვალდებულება, გადაიხადოს ამ კოდექსით დაწესებული, აგრეთვე ამ კოდექსით დაწესებული და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ შემოღებული გადასახადი.“.

9. 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირის მიერ მაღალმთიან დასახლებაში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული 6 000 ლარამდე დასაბეგრი შემოსავალი, გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციიდან და სახელმწიფოს მიერ ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სამედიცინო დაწესებულებიდან ხელფასის სახით მიღებული შემოსავლისა.“.

10. 95³ მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ფიქსირებული გადასახადის განაკვეთს საქმიანობის სახეების მიხედვით განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა აღნიშნული ქვეპუნქტით დადგენილი ოდენობის ფარგლებში. ამასთანავე, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი ერთი და იმავე საქმიანობის სახისათვის მუნიციპალიტეტების მიხედვით განსაზღვროს განსხვავებული ფიქსირებული გადასახადის განაკვეთი.“.

11. მე-100 მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სახელმწიფოსთვის ან/და მუნიციპალიტეტებისათვის საქონლის უსასყიდლოდ გადაცემა ან/და მომსახურების უსასყიდლოდ გაწევა;“.

12. 106-ე მუხლის „ა.ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ სახელმწიფოსათვის ან/და მუნიციპალიტეტისათვის საქონლის უსასყიდლოდ მიწოდების ან/და მომსახურების უსასყიდლოდ გაწევის შემთხვევისა;“.

13. 161-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) დღგ-ით შეძენილი საქონლის/მომსახურების გამოყენება არაეკონომიკური საქმიანობისათვის (გარდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ სახელმწიფოსათვის ან/და მუნიციპალიტეტისათვის საქონლის უსასყიდლოდ მიწოდების ან/და მომსახურების უსასყიდლოდ გაწევის შემთხვევისა), თუ ამ საქონელზე/მომსახურებაზე გადამხდელმა მიიღო დღგ-ის ჩათვლა, რომლის დროსაც:

ბ.ა) დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასით (გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების ჩათვლით) დღგ-ის გარეშე;

ბ.ბ) დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება საქონლის/მომსახურების გამოყენების დაწყების მომენტი;“.

14. 168-ე მუხლის:

ა) მე-2 ნაწილის „ჟ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჟ) მუნიციპალიტეტისათვის დასახლებულ ტერიტორიაზე დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების გაწევა;“;

ბ) მე-4 ნაწილის:

ბ.ა) „თ“ და „ი“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) სახელმწიფოსთვის ან/და მუნიციპალიტეტისათვის აქტივების გამოტანა იმ საწარმოს კაპიტალიდან, რომლის წილის/აქციების 50 პროცენტზე მეტი სახელმწიფოს ან/და მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების საკუთრებაშია;

ი) სახელმწიფოსთვის ან/და მუნიციპალიტეტისათვის საქონლის უსასყიდლოდ გადაცემა ან/და მომსახურების უსასყიდლოდ გაწევა;“;

ბ.ბ) „უ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„უ) სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდევინების, მათ შორის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში პირის ქონების (გარდა ფულისა) სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემა, აგრეთვე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციების გადახდევინების მიზნით პირის ქონების რეალიზაცია/გადაცემა;“.

15. 174-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა.დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ სახელმწიფოსათვის ან/და მუნიციპალიტეტისთვის საქონლის უსასყიდლოდ მიწოდებისათვის ან/და მომსახურების უსასყიდლოდ გაწევისათვის;“.

16. 194-ე მუხლის მე-6 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდევინების, მათ შორის, საგადასახადო დავალიანების

გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში პირის ქონების (აქციური საქონლის) სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემა, აგრეთვე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციების გადახდევინების მიზნით პირის ქონების (აქციური საქონლის) რეალიზაცია/ გადაცემა;“.

17. მე-200 მუხლის მე-7 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა – სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწა.“.

18. 204-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით განისაზღვრება გადასახადის განაკვეთი, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ ნაწილით დადგენილი წლიური საბაზისო განაკვეთის 150 პროცენტს.“;

ბ) მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს გადაწყვეტილებით, შესაბამისი საბაზისო განაკვეთი მრავლდება ტერიტორიულ კოეფიციენტზე. ამასთანავე, ტერიტორიული კოეფიციენტი არ შეიძლება იყოს 1,5-ზე მეტი.“;

გ) მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ქონების გადასახადით დაბეგვრის მიზნებისათვის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სხვა მარეგისტრირებელი ორგანოების, აგრეთვე მუნიციპალიტეტების მიერ საგადასახადო ორგანოში წარსადგენი ინფორმაციის ჩამონათვალს და ამ ინფორმაციის საგადასახადო ორგანოში წარდგენის წესს ადგენს საქართველოს მთავრობა.“.

19. 206-ე მუხლის პირველი ნაწილის:

ა) „ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის ნაყოფიერი ფენაც სანახევროდ ან მეტადაა დაზიანებული სტიქიის (ქარიშხლის, სეტყვის, გვალვის, წყალდიდობის, მეწყრის და სხვა) შედეგად, რაც დასტურდება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ გაცემული ცნობით;“;

ბ) „ო¹“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო¹) პირის მფლობელობაში/საკუთრებაში არსებული მიწა, რომელიც მდებარეობს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ტერიტორიების მიმდებარედ, რის გამოც პირი ვერ სარგებლობს მოცემული მიწის ნაკვეთით, რაც დასტურდება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული ცნობით;“;

გ) „შ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზედაც მისაღები მოსავლის ნახევარზე მეტი განადგურდა სტიქიის (ქარიშხლის, სეტყვის, გვალვის, წყალდიდობის, მეწყრის და სხვა) ან სხვა ფორსმაჟორული გარემოების შედეგად, რაც დასტურდება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ უფლებამოსილი პირის (პირების) მიერ გაცემული ცნობით;“;

დ) „პ²“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ²) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე საცხოვრებელ სახლებზე ან/და ავტოფარეხებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს მიერ დადგენილი ფართობის ზღვრული ოდენობის ფარგლებში;“;

ე) „პ⁵“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ⁵) სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებაში არსებული სახელმწიფო ორგანოს ან/და მუნიციპალიტეტის მიერ უსასყიდლოდ გადაცემული უძრავი ქონება, რომელიც გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში;“.

20. 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი, გარდა საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული ცალკეული საქმიანობის განმახორციელებელი ან ცალკეული მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საქმიანობის განმახორციელებელი მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისა;“.

21. 272-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქონლის/მომსახურების მიმწოდებლებს – საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის

შესახებ შესაბამისი წლის საქართველოს კანონით და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებით გათვალისწინებული ასიგნებების საფუძველზე მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების ღირებულების შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ აუნაზღაურებლობის გამო წარმოქმნილ საბიუჯეტო ვალდებულებებზე, მათი ღირებულების ფაქტობრივი დაფინანსების ოდენობისა და მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების საერთო მოცულობაში ხვედრითი წილის პროპორციულად;“.

22. 281-ე მუხლის მე-11 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ამ მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენისათვის დაადგინოს ჯარიმის განსხვავებული ოდენობები, მაგრამ არანაკლებ ამ მუხლის პირველი-მე-10 ნაწილებით დადგენილი ჯარიმების 5 პროცენტისა.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,
15 ივლისი 2020 წ.
N6942-რს

ვებგვერდი, 28/07/2020
სარეგისტრაციო კოდი
190020010.05.001.020013

საქართველოს კანონი

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №47, 28.12.2009, მუხ. 361) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. კოდექსის მიზანი

ეს კოდექსი განსაზღვრავს საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ფორმირების პრინციპებს, არეგულირებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების პროექტების მომზადების, განხილვის, დამტკიცების, ბიუჯეტების შესრულების, ანგარიშგებისა და კონტროლის წესებს, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების და მათ მიერ შექმნილი/დაფუძნებული იურიდიული პირების საბიუჯეტო ურთიერთობებსა და პასუხისმგებლობას.“.

2. მე-4 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) დამოუკიდებლობა – საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების დამოუკიდებლობა, რომელსაც უზრუნველყოფს საკუთარი შემოსულობები და ნაშთი, აგრეთვე საკუთარი გადასახდელების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;“.

3. მე-6 მუხლის:

ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ადგილობრივი ხელისუფლება – მუნიციპალიტეტის ორგანოები;“;

ბ) „ბ¹“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ¹გ) შექმნილია/დაფუძნებულია მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოს მიერ, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განსაზღვრული წესით, ან ამ საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირი;“;

გ) „ბ²“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ².გ) შექმნილია/დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების მიერ ან/და ექვემდებარება მის/მათ კონტროლს ან/და მის/მათ მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის კონტროლს;“;

დ) „დ“ და „დ¹“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი – საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების კონსოლიდირებული ბიუჯეტი. ნაერთი ბიუჯეტი არ ექვემდებარება არცერთი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებას;

დ¹) სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი – ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკების ერთიანი რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტების კონსოლიდირებული ბიუჯეტი. სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი არ ექვემდებარება არცერთი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებას;“;

ე) „ვ“ და „ვ¹“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი – აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და შესაბამისად მის შემადგენლობაში შემავალი მუნიციპალიტეტების კონსოლიდირებული ბიუჯეტი. ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი არ ექვემდებარება არცერთი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებას;

ვ¹) ერთიანი ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი – ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტის და მის შემადგენლობაში შემავალი მუნიციპალიტეტების ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტების კონსოლიდირებული ბიუჯეტი. ერთიანი ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი არ ექვემდებარება არცერთი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებას;“;

ვ) „თ“–„კ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი – მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს მიერ დამტკიცებული, მუნიციპალიტეტის ორგანოების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა;

თ¹) ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტი – მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის და ამ მუხლის „ბ¹.გ“ და „ბ².გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების კონსოლიდირებული ბიუჯეტი. ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტი არ ექვემდებარება არცერთი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებას;

ი) დამტკიცებული ბიუჯეტი – შესაბამისი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;

კ) დაზუსტებული ბიუჯეტი – ამ კოდექსის 31-ე, 69-ე და 92-ე მუხლების საფუძველზე კორექტირებული სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;“;

ზ) „ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნ) მუნიციპალიტეტი, საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები – შეესაბამება საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მოცემულ განმარტებებს;“;

თ) „პ“–„რ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ) მიზნობრივი ტრანსფერი – დელეგირებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან/და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების სახით მიღებული სახსრები;

ჟ) სპეციალური ტრანსფერი – სტიქიური მოვლენების, ეკოლოგიური და სხვა სახის კატასტროფების, საომარი მოქმედებების, ეპიდემიების და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგების (ზიანის) სალიკვიდაციოდ, აგრეთვე სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებს შორის გაწეული ფინანსური დახმარება;

ჟ¹) კაპიტალური ტრანსფერი – კაპიტალური პროექტის განსახორციელებლად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებს შორის გაწეული ფინანსური დახმარება, რომელიც დაკავშირებულია ტრანსფერის

მიმდების არაფინანსური აქტივების ზრდასთან;

რ) მხარჯავი დაწესებულება – სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტებისთვის – პროგრამული კლასიფიკაციის პირველი თანრიგით გათვალისწინებული საბიუჯეტო ორგანიზაცია, ხოლო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის – მუნიციპალიტეტი;“;

ი) „უ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„უ) საფინანსო ორგანო – მუნიციპალიტეტის, ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია შესაბამისად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადებისთვის და ბიუჯეტის შესრულების მართვისა და კოორდინირებისთვის;“;

კ) „ქ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ) წლიური ბიუჯეტი – საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამ კოდექსით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის/არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შესაბამისი საბიუჯეტო წლის დამტკიცებული ბიუჯეტი;“;

ლ) „ჩ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჩ) ფულადი სახსრები – სახელმწიფო ხაზინის, ავტონომიური რესპუბლიკების, მუნიციპალიტეტის, ამ მუხლის „ბ¹“ და „ბ²“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფულადი სახსრები და დეპოზიტები ეროვნულ და უცხოურ ვალუტებში, რომლებიც განთავსებულია სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის ანგარიშებზე, სახელმწიფო ხაზინის სხვა ანგარიშებსა და კომერციულ ბანკებში არსებულ ანგარიშებზე;“;

მ) „წ¹“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„წ¹) პრიორიტეტი – საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებით გათვალისწინებული ასიგნებების ძირითადი მიმართულება, რომლის ფარგლებშიც მხარჯავი დაწესებულებები/საბიუჯეტო ორგანიზაციები ახორციელებენ პროგრამებს/ქვეპროგრამებს. პრიორიტეტის ფარგლებში შესაძლებელია აგრეთვე გათვალისწინებულ იქნეს სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის ფუნქციონირებისთვის საჭირო ღონისძიებები;“.

4. მე-7 მუხლის:

ა) პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის – შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო;“;

ბ) მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისათვის – შესაბამისი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო;“;

გ) მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტისთვის – შესაბამისი მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო;“;

დ) მე-8 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. ავტონომიური რესპუბლიკების საფინანსო ორგანოები, მუნიციპალიტეტების საფინანსო ორგანოები და ამ კოდექსის მე-6 მუხლის „ბ¹“ და „ბ²“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები:

ა) უფლებამოსილი არიან, დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით გახსნან მიმდინარე ან/და სადეპოზიტო ანგარიშები კომერციულ ბანკებში. დაუშვებელია მიმდინარე ანგარიშზე ანგარიშის მფლობელმა განახორციელოს სხვა ოპერაციები, გარდა სახელმწიფო ხაზინაში გახსნილი ანგარიშიდან სახსრების გადატანისა, სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ ანგარიშზე სახსრების დაბრუნებისა, სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის გადატანისა და სადეპოზიტო ანგარიშიდან თანხის დაბრუნებისა. ამ კოდექსის მე-6 მუხლის „ბ¹“ და „ბ²“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები აგრეთვე უფლებამოსილი არიან, ამ ანგარიშებზე არსებული სახსრები გამოიყენონ საბანკო გარანტიების, სესხებისა და აკრედიტივების უზრუნველყოფის საგნად ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისთვის;

ბ) უფლებამოსილი არიან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობით გახსნან ანგარიში კომერციულ ბანკში მათ განკარგულებაში დროებით არსებული სახსრების ან/და იმ სახსრების განთავსების მიზნით, რომლებიც შემოსავლად აღიარებამდე საჭიროებს უფლებამოსილი პირების მიერ დადასტურებას, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გადაეცეს თანხის მიღებაზე უფლებამოსილ პირებს, მიიმართოს შესაბამის ბიუჯეტში ან ანგარიშის მფლობელის სახელმწიფო ხაზინაში არსებულ ანგარიშზე ან გადამხდელს დაუბრუნდეს. ამ ანგარიშზე პროცენტების სახით დარიცხული თანხა ეკუთვნის ანგარიშის მფლობელს და დარიცხვისთანავე მიიმართება სახელმწიფო ხაზინაში არსებულ მის ანგარიშზე.“.

5. მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დასაგეგმი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია თითოეულ პრიორიტეტზე ყოველთვიურად გასცეს თანხა არაუმეტეს გასული საბიუჯეტო წლის დამტკიცებული ასიგნებების 1/12-ისა.“.

6. მე-15 მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მუნიციპალიტეტის (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა) საბიუჯეტო ორგანიზაციები ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს ადგენენ ამ კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინებით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციები – შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ დადგენილი წესით, ამ კოდექსის 85-ე, 86-ე და 87-ე მუხლების მოთხოვნების გათვალისწინებით.“.

7. მე-16 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტები, აგრეთვე ამ კოდექსით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტები სრულდება საკასო მეთოდით.“.

8. მე-17 მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების, აგრეთვე ამ კოდექსით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ყველა შემოსულობა დაუყოვნებლივ მიიმართება შესაბამის ბიუჯეტში.“.

9. მე-18 მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ასიგნებების ზევით ფინანსური ვალდებულების აღება დაუშვებელია, გარდა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და მრავალწლიანი შესყიდვებით ნაკისრი ვალდებულებებისა. მრავალწლიანი ფინანსური ვალდებულების აღება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი საშუალოვადიანი გეგმით მხარჯავი დაწესებულებისთვის/პრიორიტეტისთვის გათვალისწინებული ასიგნებების ზღვრული მოცულობების ფარგლებში. ასეთ შემთხვევაში მრავალწლიანი ფინანსური ვალდებულების შესასრულებლად საჭირო სახსრები სახელმწიფო ბიუჯეტისა და ავტონომიური რესპუბლიკის მხარჯავმა დაწესებულებებმა უნდა გაითვალისწინონ შესაბამისი წლის ბიუჯეტის პროექტში, ხოლო მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ უნდა გაითვალისწინოს შესაბამისი პრიორიტეტში. შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებით შესაძლებელია სათანადო საშუალოვადიანი გეგმით გათვალისწინებული პარამეტრებისგან განსხვავებული მრავალწლიანი ფინანსური ვალდებულების აღება.“.

10. 18⁴ მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სახელმწიფო ხაზინა პასუხისმგებელია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების, აგრეთვე ამ კოდექსით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების სრულად დასწორად დარიცხვისთვის, გამჭვირვალობისა და ანგარიშგებისთვის.“.

11. მე-19 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 19. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ბიუჯეტის შესრულებისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შემოწმება

სახელმწიფო აუდიტის სამსახური საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამოწმებს საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შესრულებასა და ბიუჯეტების ასიგნებების ხარჯვას.“.

12. მე-20 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ავტონომიური რესპუბლიკის/მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ სამართლებრივი აქტის პროექტი, რომელიც იწვევს მიმდინარე წლის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან/და ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოს/მუნიციპალიტეტის მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, შეიძლება მიიღოს მხოლოდ შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლების თანხმობის შემდეგ. მომავალ საბიუჯეტო წელთან დაკავშირებული ავტონომიური რესპუბლიკის/მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს სამართლებრივი აქტის პროექტი უნდა შეესაბამებოდეს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის საბიუჯეტო პარამეტრებს, ხოლო თუ იგი იწვევს მომავალი წლების საბიუჯეტო პარამეტრების ცვლილებას, ის შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის/მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს თანხმობით.

3. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს, ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მიერ ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ზრდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების ოდენობას ან ამცირებს მის შემოსავლებს, ამ გადაწყვეტილების მიღების წლის განმავლობაში კომპენსირებული უნდა იქნეს მისი მიმღები ორგანოს მიერ (სახელმწიფო ან ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან).“.

13. 24-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებიდან სესხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობით.“.

14. 25-ე მუხლის:

ა) პირველი და მე-2 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შემოსულობები სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებს შორის ნაწილდება ამ კოდექსის დანართის შესაბამისად. ამ დანართში მითითებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის და სახელმწიფო ქონების ნუსხას ადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

2. ადგილობრივი გადასახადები დამოსაკრებლების რეალური ირიცხება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.“;

ბ) მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებიდან გამოყოფილი სახსრების ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საქმიანობის განხორციელებისას კონტრაქტორებისთვის დაკისრებული ჯარიმები/სანქციები/საურავები და სხვა შემოსულობები მიიმართება შესაბამის ბიუჯეტში (სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი). შესაბამის ბიუჯეტში მიიმართება აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დონორისგან მიღებული დაფინანსების ფარგლებში საქმიანობის განხორციელებისას კონტრაქტორებისთვის დაკისრებული ჯარიმები/სანქციები/საურავები, თუ დონორთან გაფორმებული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.“.

15. 26-ე მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში სრულად მიიმართება შემდეგი გაუქმებული გადასახადებიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსულობები:

ბ.ა) მავნე ნივთიერებებით გარემოს დაზიანებებისთვის გადასახადი;

ბ.ბ) ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის გადასახადი;

ბ.გ) ქონების გადაცემისთვის გადასახადი;

ბ.დ) საკურორტო გადასახადი;

ბ.ე) სასტუმროს გადასახადი;

ბ.ვ) რეკლამის გადასახადი;

ბ.ზ) გადასახადი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისთვის;

გ) მცირე ბიზნესის გადასახადიდან და ფიქსირებული გადასახადიდან მიღებული თანხების 80% მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო 20% – აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში.“.

16. 26¹ მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგებიდან ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული კომისიის მიერ განსაზღვრული სახელმწიფოსთვის გადასარიცხი დივიდენდები, ამ კოდექსის დანართის („შემოსულობების საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებს შორის განაწილება პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით“) ცხრილის 9.1 გრაფის შესაბამისად, მთლიანად მიიმართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.“.

17. 27-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემ ტრანსფერებს.“.

18. 34-ე მუხლის:

ა) მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მომზადების მიზნით ყოველი წლის 1 მარტამდე საქართველოს მთავრობა დადგენილებით განსაზღვრავს მხარჯავი დაწესებულებების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებისა და მუნიციპალიტეტების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების შემადგენლობაში შემავალი მუნიციპალიტეტებისა) მიერ წარსადგენი ინფორმაციის ნუსხას და წარდგენის ვადებს.“;

ბ) მე-5 ნაწილის „გ.გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ.გ) მხოლოდ ინფორმაციული მიზნებისთვის ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების საშუალოვადიან პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად განსახორციელებელი პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების ოდენობებს, მიზნებსა და შედეგებს;“.

19. 39-ე მუხლის მე-13 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. დასაგეგმი საბიუჯეტო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 1 თვისა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მუნიციპალიტეტებიდან და ავტონომიური რესპუბლიკებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უზრუნველყოფს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტის მომზადებას და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისთვის ინფორმაციის სახით წარდგენას.“.

20. 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე გასაცემ სესხებზე;“.

21. 63-ე მუხლის მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვის საშუალების გამოყენების შესახებ სესხის გამცემის წერილობითი შეტყობინების საქართველოს ფინანსთა სამინისტროში რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 6 თვისა საქართველოს ფინანსთა მინისტრი იხილავს და სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე იღებს გადაწყვეტილებას ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვის საშუალების გამოყენების ან გამოუყენებლობის შესახებ. სახელმწიფო ინტერესებად ჩაითვლება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, საწარმოებზე (რომელთა აქციების ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები) და სახელმწიფო პროგრამებში მონაწილე იურიდიულ/ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები. ამ ვადის გასვლის შემდეგ სესხის გამცემის თხოვნა ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვის საშუალების გამოყენების შესახებ ითვლება დაუკმაყოფილებლად.“.

22. IV კარის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი“.

23. X თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზოგადი ნორმები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისათვის“.

24. 65-ე და 66-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 65. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამოუკიდებლობა

1. თითოეულ მუნიციპალიტეტს აქვს საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი.

2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დამოუკიდებელია როგორც სხვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისგან, ისე სახელმწიფო ბიუჯეტისგან და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისგან.

3. მუნიციპალიტეტის ორგანოების დამოუკიდებლობა საბიუჯეტო საქმიანობაში გარანტირებულია ამ კოდექსით გათვალისწინებული საკუთარი შემოსულობებით

და საკუთარ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის გადასახდელების გაწევის დამოუკიდებლად განსაზღვრით, აგრეთვე კანონით დადგენილ ფარგლებში დელეგირებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უფლებით.

4. საქართველოს ცენტრალურ და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებებს უფლებაარაქვთ, ჩაერიონ მუნიციპალიტეტის ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებებში.

მუხლი 66. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი და არასაკუთარი შემოსულობები

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები, მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული დამატებული ღირებულების გადასახადი და საქართველოს კანონმდებლობით მუნიციპალიტეტებისთვის განკუთვნილი სხვა შემოსულობები.

2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არასაკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება სპეციალური, მიზნობრივი და კაპიტალური ტრანსფერები და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემოსულობები.“.

25. 67-ე მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი“;

ბ) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული გადასახდელების დასაფინანსებლად იქმნება სარეზერვო ფონდი, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების საერთო მოცულობის 2%-ს.“.

26. 68-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში იქმნება წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი, რომლის განკარგვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.“.

27. 69-ე მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში“;

ბ) მე-4-მე-7 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. შესაბამისი სამართლებრივი აქტისა და საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს ცვლილებები (პროგრამის/ქვეპროგრამის დამატება, პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელების შეცვლა) პროგრამულ კლასიფიკაციაში.

5. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილი თანხების ასახვის მიზნით განახორციელოს ცვლილებები (მათ შორის, პროგრამული კოდის ან პროგრამის დამატება) ბიუჯეტით დამტკიცებულ შემოსულობებსა და გადასახდელებში. ეს ცვლილებები 1 თვის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს საბიუჯეტო წლის დასრულებისა, უნდა წარედგინოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს.

6. ამ კოდექსის 67-ე და 68-ე მუხლების შესაბამისად გამოყოფილი ასიგნებებით წლიური ბიუჯეტის დაზუსტება და ამ მუხლის მე-2-მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული ცვლილებები უნდა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

7. ამ კოდექსის მე-6 მუხლის „ბ¹“ და „ბ²“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების/არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების დაზუსტება ხორციელდება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.“.

28. 70-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან ცალკეულ მუნიციპალიტეტში საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს შეუძლია დაამტკიცოს შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილი საგანგებო ბიუჯეტი საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი დაფინანსებისთვის.“.

29. 71-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მუნიციპალიტეტებისთვის დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილება ხდება ამ კოდექსის დანართის („შემოსულობების საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებს შორის განაწილება პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით“) ცხრილის მე-4 გრაფით მუნიციპალიტეტებისთვის გათვალისწინებული მაჩვენებლის ფარგლებში.“.

30. XII თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, წარდგენა და დამტკიცება“.

31. 75-ე და 76-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 75. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესის კოორდინირება

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესს კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო.

2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადების, წარდგენისა და დამტკიცების მიზნებისთვის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მუნიციპალიტეტებს უზრუნველყოფს შესაბამისი მეთოდური მითითებებით.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნის შემთხვევაში მუნიციპალიტეტი ვალდებულია დროულად და სრულად წარუდგინოს მას ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესახებ.

მუხლი 76. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი

1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი არის ადმინისტრაციული ერთეულების განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიან სამოქმედო გეგმების შესახებ.

2. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტს ადგენს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო შესაბამისი სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციასთან კონსულტაციით.

3. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო ყოველი წლის 1 მარტიდან იწყებს მუშაობას, რისთვისაც გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისთვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები.

4. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) გასული, მიმდინარე, დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური და არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებულ მაჩვენებლებს;

ბ) მუნიციპალიტეტის გასული საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზს და მიმდინარე საბიუჯეტო წლის გადამუშავებულ პროგნოზებს;

გ) დასაგეგმი საბიუჯეტო წლისთვის და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისთვის:

გ.ა) მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ განსაზღვრულ მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ პროგრამებს/ქვეპროგრამებს;

გ.ბ) მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად განსახორციელებელი ძირითადი პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების ოდენობებს, მიზნებსა და შედეგებს.

5. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო (გარდა ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი მუნიციპალიტეტისა) მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტს წარუდგენს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს არაუგვიანეს 15 ნოემბრისა.

6. ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი მუნიციპალიტეტი პრიორიტეტების დოკუმენტს წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანოს ავტონომიური რესპუბლიკის მიერ დადგენილი წესით.“.

32. 77-ე მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოსთვის წარდგენა“;

ბ) პირველი–მე-3 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მუნიციპალიტეტის ორგანოებს მიმდინარე წლის 15 ივლისამდე აცნობებს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრებს.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით საფინანსო ორგანო გაიანგარიშებს შემოსულობებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლებს და იწყებს შესაბამის პროცედურებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის შესადგენად.

3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მოსამზადებლად შესაბამისი საფინანსო ორგანო საბიუჯეტო ორგანიზაციებს უგზავნის საბიუჯეტო განაცხადის ფორმებს ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების მითითებით.“;

გ) მე-6 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არაუგვიანეს 5 ოქტომბრისა აცნობებს მუნიციპალიტეტის ორგანოებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისთვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.“;

დ) მე-7–8¹ ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად არაუგვიანეს 15 ნოემბრისა შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერი განსახილველად წარუდგენს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს.

8. ბიუჯეტის პროექტთან ერთად მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს წარედგინება მისი შესაბამისი მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი.

8¹. ბიუჯეტის პროექტს მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო ამზადებს საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.“.

33. 78-ე მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება“;

ბ) პირველი და მე-2 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ბიუჯეტის პროექტი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოში წარდგენიდან 5 დღის ვადაში უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვისთვის.

2. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის პროექტს და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ. გადაწყვეტილება ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ მიიღება წარმომადგენლობითი ორგანოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.“;

გ) მე-7–მე-8 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებიდან 3 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში საქართველოს მთავრობა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს და მუნიციპალიტეტის მერს ვადამდე უწყვეტს უფლებამოსილებას და შემოიღებს პირდაპირ სახელმწიფო მმართველობას. ასეთ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განმახორციელებელი თანამდებობის პირის/ორგანოს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

7¹. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ უნდა შეიცავდეს ამ კოდექსის 77-ე მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

8. ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 20 დღისა მუნიციპალიტეტი (გარდა ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი მუნიციპალიტეტისა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უგზავნის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტს.“.

34. 79-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 79. მიზნობრივი ტრანსფერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინება

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მუნიციპალიტეტის ორგანოებს ყოველი წლის 5 ოქტომბრამდე აცნობებს მიზნობრივი ტრანსფერის საპროგნოზო პარამეტრებს.

2. საქართველოს საკანონმდებლო აქტების ან/და ხელშეკრულების საფუძველზე მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პარამეტრების საფუძველზე ამზადებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დელეგირებული უფლებამოსილებების პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების გაანგარიშებებს, მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობას და ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარუდგენს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს, რომელიც იხილავს მათ და განხილვის შედეგების გათვალისწინებით მზადდება სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის ორგანოებს შორის (საჭიროების შემთხვევაში) ხელშეკრულების პროექტი სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილებების შესახებ.

3. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და შესაბამის სახელმწიფო ორგანოს შორის (საჭიროების შემთხვევაში) ფორმდება დელეგირების ხელშეკრულებები.

4. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის მიზნობრივი ტრანსფერის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გათვალისწინებისა და გამოყენების წესებს განსაზღვრავს ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო.“.

35. 79¹ მუხლის:

ა) პირველი და მე-2 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სპეციალური ტრანსფერი გამოიყოფა სტიქიური მოვლენების, ეკოლოგიური და სხვა სახის კატასტროფების, საომარი მოქმედებების, ეპიდემიების და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგების (ზიანის) სალიკვიდაციოდ, აგრეთვე სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად. სპეციალური ტრანსფერი არის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებს შორის გაწეული ფინანსური დახმარება. მუნიციპალიტეტმა ტრანსფერი შესაძლებელია გამოყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ხმარდება ტრანსფერის გამცემი მუნიციპალიტეტის მიზნებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საქართველოს მთავრობას/საქართველოს სამინისტროებს ან/და საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას/საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებს მიმართოს ფინანსური დახმარების სახით სპეციალური ტრანსფერის გამოყოფის მოთხოვნით. ამ მიმართვაში აღინიშნება სპეციალური ტრანსფერის გამოყოფის მოთხოვნის საფუძველი და ტრანსფერის მოცულობა.“;

ბ) მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის წინადადება სპეციალური ტრანსფერის გამოყოფის შესახებ შესაძლებელია წარედგინოს სხვა მუნიციპალიტეტს.“.

36. 79² მუხლის:

ა) პირველი და მე-2 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კაპიტალური ტრანსფერი გამოიყოფა კაპიტალური პროექტის განსახორციელებლად. კაპიტალური ტრანსფერი არის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებს შორის გაწეული ფინანსური დახმარება, რომელიც დაკავშირებულია ტრანსფერის მიმღების არაფინანსური აქტივების ზრდასთან. მუნიციპალიტეტმა კაპიტალური ტრანსფერი შესაძლებელია გამოყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ხმარდება ტრანსფერის გამცემი მუნიციპალიტეტის მიზნებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საქართველოს მთავრობას/საქართველოს სამინისტროებს ან/და საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას/საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებს მიმართოს ფინანსური დახმარების სახით კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფის მოთხოვნით. ამ მიმართვაში აღინიშნება კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფის მოთხოვნის საფუძველი და ტრანსფერის მოცულობა.“;

ბ) მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის

წინადადება კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფის შესახებ შესაძლებელია წარედგინოს სხვა მუნიციპალიტეტს.“.

37. მე-80 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 80. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა

1. წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა, გარდა ამ კოდექსის 69-ე მუხლით დადგენილი წესისა, საჭიროებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანას.

2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა წარმომადგენლობით ორგანოს შეუძლია მხოლოდ მერის წარდგინებით.“.

38. XIII თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულება“.

39. 81-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 81. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ზოგადი დებულება

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.“.

40. 82-ე მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განწერა“;

ბ) პირველი და მე-2 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 15 დღისა შესაბამისი საფინანსო ორგანო ამზადებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის კვარტალურ ან/და ყოველთვიურ განწერას საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის კვარტალური ან/და ყოველთვიური განწერისას ასიგნებების დაფინანსების მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს თავისუფალი ნაშთი იმ პირობით, რომ წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ნაშთის ცვლილების წლიური ოდენობა უცვლელი დარჩება.“.

41. 83-ე მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულებისთვის პასუხისმგებლობა“;

ბ) მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ადგილობრივი გადასახადების ამოღებას უზრუნველყოფენ საგადასახადო ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო მუნიციპალიტეტის სხვა შემოსავლებისა და არაფინანსურ აქტივებზე განხორციელებული ოპერაციებიდან მისაღები სახსრების ამოღებას უზრუნველყოფს შესაბამისი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი პირი, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.“.

42. XIV თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის აღრიცხვა, ანგარიშგება და აუდიტი“.

43. 84-ე მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის აღრიცხვა და ანგარიშგება“;

ბ) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიში გახსნილია სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში. ამ ანგარიშის მართვისა და ოპერირების კონტროლის, აგრეთვე ამ ანგარიშიდან თანხის გადარიცხვაზე ნებართვის გაცემის უფლება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა, აქვს მხოლოდ შესაბამისი მუნიციპალიტეტს.“;

გ) მე-3 და მე-4 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო აღრიცხავს თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ გაწეულ გადასახდელებს, რაც მოიცავს ინფორმაციას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით გადახდის განხორციელების ყველა ეტაპის შესახებ. იგი აგრეთვე აღრიცხავს საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებულ შემოსულობებს.

4. მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში ამზადებს ანგარიშს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით.“.

44. 85-ე-88-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 85. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვა

ყოველი კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სადღოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან.

მუხლი 86. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშისა და ანგარიშგების მომზადება და წარდგენა

მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო ამზადებს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვისა წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს.

მუხლი 87. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავს წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

- ა) ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;
- ბ) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან;
- გ) ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისთვის;
- დ) პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს;
- ე) ინფორმაციას სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახსრების გამოყოფის მდგომარეობის შესახებ;
- ვ) წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერას და მიღწეულ შედეგებს;

ზ) ამ კოდექსის მე-6 მუხლის „ბ¹.გ“ და „ბ².გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიურ მაჩვენებლებს.

მუხლი 88. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცება

1. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და არაუგვიანეს 1 მაისისა იღებს გადაწყვეტილებას წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის აუდიტორული დასკვნა და შესრულების წლიური ანგარიში საჯარო ინფორმაციაა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის.“.

45. 89¹ მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „დ) მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემ ტრანსფერებს;“.

46. 95-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი მუნიციპალიტეტის პროგრამებს და მათი დაფინანსების ოდენობებს, მიზნებსა და შედეგებს.“.

47. 101-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 101. ფინანსური დახმარების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინება

ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოებს არაუგვიანეს 5 ნოემბრისა აცნობებს ფინანსური დახმარების საპროგნოზო ოდენობებს.“.

48. კოდექსის დანართის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შემოსულობების საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებს შორის განაწილება პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით“;

ბ) ცხრილის სათაურის გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

№	შემოსულობების დასახელება	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი	აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტები	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტები
---	--------------------------	--------------------------------	---	---------------------------

გ) ცხრილის 8.3 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

8.3	მუნიციპალიტეტისთვის			100
-----	---------------------	--	--	-----

დ) ცხრილის 10.2 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

10.2	მუნიციპალიტეტების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების მუნიციპალიტეტებისა) ტერიტორიაზე მოპოვებული ბუნებრივი რესურსებისთვის			100
------	--	--	--	-----

ე) ცხრილის 11.2 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

11.2	განლაგებულია მუნიციპალიტეტის (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების მუნიციპალიტეტებისა) ტერიტორიაზე და არ არის მუნიციპალიტეტების სარგებლობაში	65		35
------	---	----	--	----

ვ) ცხრილის 11.4 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

11.4	მუნიციპალიტეტების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების მუნიციპალიტეტებისა) სარგებლობაშია			100
------	--	--	--	-----

ზ) ცხრილის მე-13 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

13	შემოსავალი მუნიციპალიტეტების საკუთრებაში არსებული მიწის მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა, იჯარა და სხვა) გადაცემიდან			100
----	--	--	--	-----

თ) ცხრილის 15.3 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

15.3	მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ			100
------	---	--	--	-----

ი) ცხრილის 18.3 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

18.3	მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ			100
------	---	--	--	-----

კ) ცხრილის 22.2.3 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

22.2.3	მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს ვიზის გასაცემად ან მისი მოქმედების ვადის გასაგრძელებლად საჭირო დოკუმენტაციის მიღებას და სამგზავრო დოკუმენტში ვიზის დატანას ან საქართველოს ვიზის ელექტრონულად გაცემას უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან/და მის უფლებამოსილებას დელეგირების ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს მუნიციპალიტეტი			100
--------	--	--	--	-----

“;

ლ) ცხრილის 22.3.3 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

22.3.3	მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ			100
--------	---	--	--	-----

“;

მ) ცხრილის 24.3 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

24.3	მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ			100
------	---	--	--	-----

“;

ნ) ცხრილის 25.3 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

25.3	მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების სახსრებით – ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი			100
------	--	--	--	-----

“;

ო) ცხრილის 27.2 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

27.2	მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ	90		10
------	---	----	--	----

“;

პ) ცხრილის 34.3 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

34.3	მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ			100
------	---	--	--	-----

“;

ჟ) ცხრილის 35.2.3 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

35.2.3	მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ			100
--------	--	--	--	-----

“;

რ) ცხრილის 35.3.3 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

35.3.3	მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ			100
--------	--	--	--	-----

“;

ს) ცხრილის 35.5.2 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

35.5.2	განლაგებულია მუნიციპალიტეტების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების მუნიციპალიტეტებისა) ტერიტორიაზე და სახელმწიფო სარგებლობაშია	65		35
--------	--	----	--	----

“;

ტ) ცხრილის 35.5.4 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

35.5.4	მუნიციპალიტეტების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების მუნიციპალიტეტებისა) სარგებლობაშია			100
--------	---	--	--	-----

“;

უ) ცხრილის 35.7 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

35.7	შემოსავალი მუნიციპალიტეტების საკუთრებაში არსებული ქონების (გარდა მიწისა) იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან			100
------	---	--	--	-----

“;

ფ) ცხრილის 35.8.3 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

35.8.3	მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ			100
--------	--	--	--	-----

“;

ქ) ცხრილის 36.1.3 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

36.1.3	მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ			100
--------	--	--	--	-----

“;

ღ) ცხრილის 36.4.3 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

36.4.3	მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ			100
--------	--	--	--	-----

“;

ყ) ცხრილის 36.5.3 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

36.5.3	მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ			100
--------	---	--	--	-----

“;

შ) ცხრილის 36.7.3 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

36.7.3	მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ			100
--------	---	--	--	-----

“;

ჩ) ცხრილის 37.3 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

37.3	მუნიციპალიტეტებისთვის			100
------	-----------------------	--	--	-----

“;

ც) ცხრილის 39.3 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

39.3	მუნიციპალიტეტების ორგანოების მიერ			100
------	-----------------------------------	--	--	-----

“;

ძ) ცხრილის 40.1.2.3 და 40.1.2.4 გრაფები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

40.1.2.3	განლაგებულია მუნიციპალიტეტების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების მუნიციპალიტეტებისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ დასახლებათა ტერიტორიულ საზღვრებში არსებული ტყის პრივატიზებისა, რომლიდან შემოსული თანხაც სრულად ირიცხება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში) ტერიტორიაზე	65		35
40.1.2.4	მუნიციპალიტეტების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების მუნიციპალიტეტებისა) სარგებლობაშია			100

“;

წ) ცხრილის 40.3 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

40.3	შემოსულობა მუნიციპალიტეტების საკუთრებაში არსებული ძირითადი აქტივების გაყიდვიდან			100
------	---	--	--	-----

“;

ჭ) ცხრილის 40.5.2.3 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

40.5.2.3	მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ			100
----------	---	--	--	-----

“;

ბ) ცხრილის 40.6.3 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

40.6.3	მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ			100
--------	---	--	--	-----

“;

ჯ) ცხრილის 40.7.1.2 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

40.7.1.2	მუნიციპალიტეტების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების მუნიციპალიტეტებისა) ტერიტორიაზე	50		50
----------	--	----	--	----

“;

ჰ) ცხრილის 40.7.1.4 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

40.7.1. 4	შემოსულობა მუნიციპალიტეტების საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან			100
-----------	--	--	--	-----

“;

3¹) ცხრილის 40.8.2 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

40.8.2	მუნიციპალიტეტების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების მუნიციპალიტეტებისა) ტერიტორიაზე	35		65
--------	--	----	--	----

“;

3²) ცხრილის 40.10 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

40.10	შემოსულობა მუნიციპალიტეტების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან			100
-------	---	--	--	-----

“;

3³) ცხრილის 40.14.3 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

40.14.3	მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ			100
---------	---	--	--	-----

“;

3⁴) ცხრილის 41.3 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

41.3	მუნიციპალიტეტებისთვის			100
------	-----------------------	--	--	-----

“;

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი
თბილისი,
15 ივლისი 2020 წ.
N6946-რს

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №173
2020 წლის 30 ივლისი ქ. თბილისი

**„დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების
განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის
5 აპრილის №220 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

„დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანებაში (სსმ, 41, 08/04/2005, სარეგისტრაციო კოდი 190.040.000.22.033.007.224) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 4⁴ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4⁴. სამშვიდობო და სხვა სახის ოპერაციების განსახორციელებლად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პერსონალის სტატუსით წარგზავნილ პირთა სამივლინებო ზღვრული ყოველთვიური ნორმები განისაზღვროს „სამშვიდობო და სხვა სახის ოპერაციების განსახორციელებლად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სამოქალაქო პერსონალის სტატუსით წარგზავნილ პირთა და სპეციალური წოდების მქონე პირთა სამივლინებო ზღვრული ყოველთვიური ნორმებისა და სხვა სოციალური პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 აგვისტოს №490 დადგენილების შესაბამისად.“.

2. 4⁹ და 4¹⁰ პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4⁹. ამ ბრძანების მიზნებისათვის, საჯარო მოსამსახურეთა სამივლინებო ხარჯების ნორმები განისაზღვროს „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილების შესაბამისად.

4¹⁰. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში მივლინებული თავდაცვის ატაშეების, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებისა და მათი აპარატების თანამდებობის პირთა გრძელვადიანი მივლინების ანაზღაურებისა და შენახვის ხარჯების ყოველთვიური ნორმები განისაზღვროს „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 15 იანვრის №1 ბრძანების №13 დანართის შესაბამისად.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

ვებგვერდი, 04/08/2020
სარეგისტრაციო კოდი
200230040.22.033.017346

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №177
2020 წლის 31 ივლისი ქ. თბილისი

„სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ“ საქართველოს
ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №999 ბრძანებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №999 ბრძანებით (სსმ, №172, 31.12.2010, 200230040.22.033.016103) დამტკიცებული „ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭებისა და გაუქმების, ფიქსირებული გადასახადის გადახდისა და ანგარიშგების და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სერტიფიკატის გაცემის წესის შესახებ“ (დანართი №4) ინსტრუქციის მე-2 მუხლის:

1. მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საგადასახადო ორგანო განიხილავს განცხადებას და თუ პირი აკმაყოფილებს ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და განცხადება სრულყოფილიაა შევსებული, გონივრულ ვადაში გასცემს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სერტიფიკატს (დანართი №2).“.

2. მე-7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №183
2020 წლის 6 აგვისტო ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის
№996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 200090000.22.033.016112) დამტკიცებული ინსტრუქციის 51-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. ამ მუხლის მე-4 პუნქტის მიზნებისათვის, სწორი და ეფექტიანი რისკის კრიტერიუმების შესამუშავებლად და სამართავად, შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია გამოითხოვოს და გამოიყენოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს ადმინისტრირებად „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ დაცული პერსონალური მონაცემები (გარდა განსაკუთრებულ კატეგორიას მიკუთვნებული მონაცემებისა), დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ-ის) გადამხდელად რეგისტრირებული პირების შესახებ.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

ვებგვერდი, 11/08/2020
სარეგისტრაციო კოდი
200090000.22.033.017349

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №185
2020 წლის 7 აგვისტო ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის
№996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-17 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 17¹ მუხლი:

„მუხლი 17¹. საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრებაზე უარის თქმა

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პირი უფლებამოსილია საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს წერილობითი განცხადება „საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრებაზე უარის თქმის შესახებ“ (შემდგომში – განცხადება).

2. განცხადება საგადასახადო ორგანოს წარედგინება მატერიალური ფორმით, დანართი №I-12¹ შესაბამისად, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს გადასახადის გადამხდელის ან მისი წარმომადგენლის მიერ. თუ განცხადება ხელმოწერილია წარმომადგენლის მიერ, განცხადებას უნდა დაერთოს წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც პირდაპირ უნდა იყოს მითითებული საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრებაზე უარის თქმის უფლებამოსილება.

3. განცხადება უნდა შეიცავდეს განმცხადებლის დადასტურებას, რომ იგი ინფორმირებულია საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრებაზე უარის თქმის შედეგების თაობაზე.

4. განცხადებას უნდა დაერთოს იმ საგადასახადო მოთხოვნის ასლი, რომლის გასაჩივრებაზეც უარს აცხადებს განმცხადებელი.

5. საგადასახადო ორგანო განცხადებას განიხილავს და განცხადებაში მითითებულ საგადასახადო მოთხოვნით გათვალისწინებულ თანხას ასახავს გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ძირითად ბარათზე, განცხადების რეგისტრირების დღიდან არაუგვიანეს მესამე სამუშაო დღისა.

6. განცხადებაში მითითებული საგადასახადო მოთხოვნით გათვალისწინებული თანხის გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ძირითად ბარათზე ასახვის შემდეგ, პირის მიერ განცხადების გამოხმობა აღარ დაიშვება.“.

2. დანართი №I-12-ის შემდეგ დაემატოს დანართი №I-12¹ თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

განცხადება
საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრებაზე უარის თქმის შესახებ

1. გადასახადის გადამხდელი			
2. საიდენტიფიკაციო ნომერი			
3. მისამართი			
4. ტელეფონის ნომერი			
5. წარმომადგენელი			
6. წარმომადგენლის მისამართი			
7. წარმომადგენლის ტელეფონის ნომერი			
8. დოკუმენტის სახე	დოკუმენტის თარიღი	დოკუმენტის ნომერი	დოკუმენტის ჩაბარების თარიღი
საგადასახადო მოთხოვნა			
საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი			

9. განცხადებაზე დართული დოკუმენტების ჩამონათვალი: (მიუთითეთ განცხადებაზე დართული დოკუმენტის დასახელება)

10. დადასტურება: ვადასტურებ, რომ ინფორმირებული ვარ საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრებაზე უარის თქმის შედეგების თაობაზე. კერძოდ, ვაცნობიერებ, რომ გასაჩივრებაზე უარის თქმის შემდეგ საგადასახადო მოთხოვნაში ასახული თანხა ჩაითვლება აღიარებულად და მასზე საგადასახადო დავა აღარ დაიშვება. ასევე, საგადასახადო მოთხოვნის დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს მიერ დაიწყება გადახდევენების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელება.

განცხადების ფურცლების საერთო რაოდენობა	
ხელმოწერის თარიღი	

გადასახადის გადამხდელის/მისი წარმომადგენლის ხელმოწერა:

ვებგვერდი, 28/07/2020
სარეგისტრაციო კოდი
200230100.05.001.020117

საქართველოს კანონი

„საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურირების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №6, 09.03.2004, მუხ. 27) მე-3 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კომისიას უფლება აქვს, ვადაგადაცილებული საგადასახადო ან/და სასესხო დავალიანების რესტრუქტურირების, ასევე სასესხო დავალიანების უიმედო სესხად აღიარებისა და ჩამოწერის, პატიების, მესამე პირისთვის გადაკისრების, დაფარვის მოთხოვნის უფლების სხვა იურიდიული პირისთვის გარკვეული დისკონტით დათმობის საკითხის შესწავლისას მოიწვიოს საწარმოს, შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოთა წარმომადგენლები.“;

ბ) მე-4 პუნქტის:

ბ.ა) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ან/და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობას შესაბამისი ბიუჯეტის მიმართ რიცხული ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურირების მიზანშეწონილობის შესახებ. თუ საწარმოს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ან/და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების მიმართ რიცხული ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანება არ აღემატება ამ ბიუჯეტების საკუთარი შემოსულობების 5 პროცენტს, აღნიშნულ თანხმობას გასცემს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, ავტონომიური რესპუბლიკის შემთხვევაში კი – ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა“;

ბ.ბ) შენიშვნა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შენიშვნა: მუნიციპალიტეტს არ ევალება ამ პუნქტის „ბ“, „გ“, „ე“ და „ი“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენა.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,
15 ივლისი 2020 წ.
N6965-რს

საქართველოს კანონი

„ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №21-22, 14.06.1998, გვ. 6) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. ადგილობრივი მოსაკრებლის ცნება

ადგილობრივი მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, რომელსაც ფიზიკური და იურიდიული პირები იხდიან მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოს მიერ განსაზღვრული ვადით ან უამისოდ, კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების ან/და სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის, ასევე მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ გარკვეული მომსახურების გაწევისათვის.“

2. მე-3 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ კანონით დადგენილი წესით ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გაუქმებისა და მათზე შეღავათების დაწესების უფლება აქვს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით.“;

ბ) 2¹-მე-8 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2¹. მუნიციპალიტეტის ორგანო უფლებამოსილია მისდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების შესახებ გადაწყვეტილების მოქმედება არ გაავრცელოს საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრულ სარეკრეაციო ტერიტორიებზე.

2². მუნიციპალიტეტის ორგანო უფლებამოსილია შემოიღოს ადგილობრივი მოსაკრებელი მხოლოდ მისდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე არსებულ საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრულ სარეკრეაციო ტერიტორიებზე.

3. ადგილობრივი მოსაკრებლები გადაიხდევენ წინასწარ, მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ გადამხდელისათვის კანონით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების ან/და სარგებლობის უფლების მინიჭებამდე. გადახდევენისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოს ან ამ ორგანოს მიერ უფლებამოსილ პირს.

4. მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ გარკვეული მომსახურების გაწევისათვის ადგილობრივი მოსაკრებელი გადაიხდევენ მომსახურების მთლიანად ან მისი ნაწილის მიღების შემდეგ, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი წესით.

4¹. დაუშვებელია მუნიციპალიტეტის ორგანომ შემოიღოს ამ კანონით დადგენილი მოსაკრებლისაგან განსხვავებული ან დამატებითი სხვა ტარიფი, გადასახდელი ან მომსახურების საფასური იმ საქმიანობის განხორციელებისათვის ან/და სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ იმ მომსახურების გაწევისათვის, გარდა დაჩქარებული მომსახურებისა, რომლისთვისაც უკვე დადგენილია მოსაკრებელი.

5. სახეების მიხედვით ადგილობრივი მოსაკრებლების დიფერენცირებულ ოდენობას, გადახდის პერიოდულობასა და ვადას ადგენს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო შესაბამისი გადაწყვეტილებით.

5¹. მუნიციპალიტეტის ორგანო უფლებამოსილია მისდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე არსებულ საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრულ სარეკრეაციო ტერიტორიებზე დაადგინოს ადგილობრივი მოსაკრებლის განსხვავებული ოდენობა, გადახდის პერიოდულობა და ვადა.

6. ადგილობრივი მოსაკრებლები გადაიხდევენ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციების შესაბამისად.

7. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ შემოღებული მოსაკრებლები მთლიანად ჩაირიცხება შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

8. მუნიციპალიტეტის ორგანოს საამისოდ უფლებამოსილ პირს შეუძლია ადგილობრივი მოსაკრებლების ამოსაღებად შესაბამის იურიდიულ პირებთან გააფორმოს ხელშეკრულება.“.

3. 6¹ მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესსა და ოდენობას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო.“.

4. 12¹ მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მოსაკრებლის გადამხდელები არიან ფიზიკური ან/და იურიდიული პირი, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომლებიც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში წარმოქმნიან ნარჩენებს.“.

5. 13¹ მუხლის:

ა) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. თუ მესაკუთრე (კანონიერი მოსარგებლე) საურავის დაკისრებიდან 6 თვის ვადაში ვერ უზრუნველყოფს მოსაკრებლის ან/და მასზე დარიცხული საურავის გადახდას, მუნიციპალიტეტის ორგანო უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს მესაკუთრისათვის (კანონიერი მოსარგებლისათვის) მოსაკრებლისა და მასზე დარიცხული საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიებების მოთხოვნით.“;

ბ) მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სარეაბილიტაციო არეალში სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები, გარდა იმ შენობა-ნაგებობებისა, რომლებიც ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოიყენება.“.

6. მე-15 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. უკანონოდ ან კანონის დარღვევით შემოღებული ადგილობრივი მოსაკრებლების სახით გადახდილი თანხა გადამხდელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უბრუნდება შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთი თვის ვადაში.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,

15 ივლისი 2020 წ.

N6971-რს

ვებგვერდი, 28/07/2020
სარეგისტრაციო კოდი
230000000.05.001.020112

საქართველოს კანონი საქართველოს საბაჟო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საბაჟო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 04.07.2019, სარეგისტრაციო კოდი: 230000000.05.001.019529) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 55-ე მუხლის მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„5. გარანტიის წარდგენა საჭირო არ არის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ან მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ იმ საქმიანობის ან ოპერაციის განხორციელებისთვის, რომელსაც ის საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს.“.
2. 103-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ა) საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემა;“.
3. 104-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 104. საქონლის სახელმწიფოსთვის ან/და მუნიციპალიტეტისთვის გადაცემა
1. პროცედურის მფლობელმა ან საქონლის მფლობელმა უცხოური საქონელი და მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონელი საბაჟო ორგანოსთან წინასწარი შეთანხმებით შეიძლება საკუთრებაში გადასცეს სახელმწიფოს ან/და მუნიციპალიტეტს.
2. საქონლის სახელმწიფოსთვის ან/და მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი
თბილისი,
15 ივლისი 2020 წ.
N7006-რს

ვებგვერდი, 28/07/2020
სარეგისტრაციო კოდი
210020000.05.001.020064

საქართველოს კანონი „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41, 30.12.2004, მუხ. 213) მე-5 მუხლის 2¹ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2¹. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებელი აგრეთვე გადაიხდევენ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №1070 განკარგულებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე შესაბამისი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი
თბილისი,
15 ივლისი 2020 წ.
N7025-რს

ვებგვერდი, 28/07/2020
სარეგისტრაციო კოდი
260000000.05.001.020126

საქართველოს კანონი
„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 24.06.2016, სარეგისტრაციო კოდი: 260000000.05.001.018170) მე-14 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა, რომელიც აუდიტორულ მომსახურებას უწევს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, მუნიციპალიტეტის ორგანოსა და სხვა პირს, რომელთათვისაც შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილია ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ან საქმიანობის დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარების მოთხოვნა, ვალდებულია აუდიტორული მომსახურების გაწევისას ამ კანონით დადგენილი მოთხოვნებით იხელმძღვანელოს.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი
თბილისი,
15 ივლისი 2020 წ.
N7014-რს

ვებგვერდი, 28/07/2020
სარეგისტრაციო კოდი
210020000.05.001.020127

საქართველოს კანონი
„სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №50, 30.12.2006, მუხ. 401) მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, რომელიც დადგენილია სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი
თბილისი,
15 ივლისი 2020 წ.
N7026-რს

რედაქციაში შემოსულ კითხვებზე პასუხები მოამზადა
ბაჟის საგადასახადო კომიტეტმა

კითხვა:

შპს-მ ბანკიდან აიღო სესხი, რომლის ასაღებად თავდებში ჩაუდგა ორი დამფუძნებელი, თავიანთი პირადი ქონებით. ბანკმა დამფუძნებლებისგან მოითხოვა მათი პირადი ქონების დაზღვევა. დაზღვევის გადასახდელები გათვალისწინებულია სესხის ყოველთვიურ გადასახდელებში და ჩამოიჭრება შპს-ის ანგარიშიდან, სესხის პროცენტთან და ძირითად გადასახდელებთან ერთად.

რა გადასახადებით დაიბეგრება შპს-ის მიერ დამფუძნებლის პირადი ქონების დაზღვევის გადასახდელები?

პასუხი:

თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სადაზღვევო ანაზღაურების მიმღები არის თავდებობის გამცემი ფიზიკური პირი, მაშინ, ჩვენი აზრით, შპს-ის მიერ გადახდილი ამ ქონების დაზღვევის ხარჯები (თუ მათი წლიური ღირებულება 1000 ლარი ან მეტია) გადახდის წყაროსთან უნდა დაიბეგროს საშემოსავლო გადასახადით.

კითხვა:

საქართველოში რეგისტრირებულმა საწარმომ, უცხოურ საწარმოში, ინვესტიცია განახორციელა როგორც ფულადი, ისე არაფულადი (კერძოდ, ქართული ღვინის ჭურები) სახით.

გვაინტერესებს, რომელი ფორმით განხორციელებული ინვესტიცია იბეგრება და, საერთოდ, რა გადასახადებით იბეგრება აღნიშნული ოპერაცია?

პასუხი:

თუ საწარმო იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელის მიხედვით, უცხოური საწარმოს კაპიტალში შენატანი (ფულადი ან არაფულადი ფორმით) იბეგრება მოგების გადასახადით.

კითხვა:

შპს-მ 2020 წლის აგვისტოში აღმოაჩინა, რომ 2020 წლის ივლისში შეძენილ საქონელზე მომწოდებელს მხოლოდ ანგარიშ-ფაქტურა აქვს გამონერილი და არ არის სასაქონლო ზედნადები. ანგარიშ-ფაქტურაში მოწოდებული საქონლის კლასიფიკაცია, რაოდენობა, ფასი, დაბეგვრის რეჟიმი – ყველაფერი სწორად არის მითითებული და ემთხვევა ფაქტობრივად მიღებულ საქონელს.

რა საჯარიმო სანქციები დაეკისრება მყიდველს ზედნადების არარსებობის გამო?

პასუხი:

თუ დადასტურდა, რომ საქონლის გადაზიდვა თავად მყიდველმა მოახდინა ზედნადების გარეშე, მაშინ ჯარიმა შეიძლება შეადგენდეს 500 ლარს, განმეორების შემთხვევაში, (იგულისხმება პირველი დაჯარიმებიდან 12-თვიან პერიოდში განმეორება) კი – 5000 ლარს.

კითხვა:

რომელი ელექტრონული სერვისის მომსახურება შეიძლება დაიბეგროს ქართული კანონმდებლობით, როდესაც ელექტრონული მომსახურების მიწოდება საქართველოს ფარგლებს გარეთ გადის და მომსახურების მიმღები სხვა ქვეყანაშია, ეს მომსახურება იბეგრება დღგ-ით, ან სხვა გადასახადით?

პასუხი:

1. დღგ-ის მიზნებისთვის – ელექტრონულად გაწეულ მომსახურებას განეკუთვნება:
 - ა) ვებგვერდის მიწოდება, ვებჰოსტინგი, პროგრამებისა და მოწყობილობების დისტანციური ტექნიკური მომსახურება;
 - ბ) პროგრამული უზრუნველყოფა და შესაბამისი განახლება;
 - გ) გამოსახულებების, ტექსტებისა და ინფორმაციის მიწოდება, მონაცემთა ბაზის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით;
 - დ) მუსიკის, ფილმებისა და თამაშების (აზარტული თამაშების ჩათვლით) მიწოდება, პოლიტიკური, კულტურული, ხელოვნების, სპორტული, სამეცნიერო და გასართობი პროგრამების ტრანსლაცია და გაშუქება;
 - ე) დისტანციური სწავლების მიწოდება (იხ. საგადასახადო კოდექსის 166.3-ე მუხლი).

თუ თქვენ მიერ გაწეული მომსახურება ამ ჩამონათვალში შედის და თქვენ მიერ გაწეული მომსახურების მიმღები არარეზიდენტია, მაშინ დღგ-ის გადახდა არ მოგიწევთ.
2. თუ ელექტრონულად მომსახურების გამწვევი ფიზიკური პირია, მაშინ საშემოსავლო გადასახადის მიზნებისთვის თქვენ მოგიწევთ ამ სახით მიღებული შემოსავლის დაბეგვრა, ვინაიდან ეს შემოსავალი ჩაითვლება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად (იხ. საგადასახადო კოდექსის 104.1-ე მუხლის „გ.ზ“ ქვეპუნქტი).
3. თუ ელექტრონულად მომსახურების გამწვევი არის ე.წ. „ესტონური მოდელის“ საწარმო, მაშინ მიღებული მოგების დაბეგვრა მოგიწევთ ამ მოგების დივიდენდად განაწილებისას.

კითხვა:

ინდივიდუალური მენარმე გეგმავს გადაკეთდეს შპს-დ, მას ბუღალტრულად ერიცხება როგორც ძირითადი საშუალებები, ისე სასაქონლო მარაგები.

გვაინტერესებს, ის, რაც დარჩენილი არის ინდივიდუალური მენარმის ბუღალტრულ აღრიცხვაში, როგორ უნდა გადაენეროს შპს-ს და რა სახის გადასახადები დაერიცხება ინდივიდუალურ მენარმეს?

პასუხი:

1. ინდივიდუალური მენარმე შპს-დ ვერ გადაკეთდება.
2. ინდივიდუალურ მენარმე ფიზიკურ პირს შეუძლია დააფუძნოს შპს და მის საწესდებო კაპიტალში შეიტანოს ის ქონება, რომელიც მას სურს. ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ თუ ინდ. მენარმე შპს-ის დაფუძნებამდე დღგ-ის გადამხდელად იყო რეგისტრირებული და იგი ქონებრივ შენატანს ახორციელებს შპს-ში, მაშინ ეს შპს ვალდებული იქნება, დაფუძნებიდან 10 დღეში (მაგრამ არა უგვიანეს საქონლის/მომსახურების მიწოდების დანყებისა) გაიაროს რეგისტრაცია დღგ-ის გადამხდელად.
3. გარდა ამისა, საშემოსავლო გადასახადის მიზნებისთვის გთხოვთ გაეცნოთ სსკ-ის 151-ე მუხლს.

კითხვა:

შპს-მ მიწა იყიდა 2019 წლის აგვისტოში. ვინაიდან 2019 წლის 1 აპრილის მდგომარეობით მის ბალანსზე არ იყო მიწა, ვალდებული იყო თუ არა 2020 წლის 1 აპრილისთვის წარედგინა დეკლარაცია და გადაეხადა მიწის გადასახადი?

პასუხი:

შპს ვალდებული იყო, 2020 წლის 1 აპრილისთვის წარედგინა ქონების გადასახადის დეკლარაცია იმ მიწაზე, რომელიც მის საკუთრებაში იყო ამავე თარიღისთვის (ანუ - 2020 წლის 1 აპრილისთვის), ხოლო ამ მიწაზე ქონების გადასახადს იგი გადაიხდის 2020 წლის 15 ნოემბრამდე.

კითხვა:

შპს კერძო პირებისგან იძენს მისთვის საჭირო ძირითად საშუალებას, კერძოდ, ძველ-ბურ რკინის რადიატორებს.

გთხოვთ განგვიმარტოთ, დაბეგვრის რა მექანიზმი ეკუთვნის შპს-ს და რა მექანიზმით უნდა დაიბეგროს ფიზიკური პირები?

პასუხი:

თუ ეს საქონელი არის ჯართი და მისი შესყიდვა სასაქონლო ზედნადების გარეშე ხორციელდება, მაშინ მოგიწევთ ამ კერძო პირებისთვის საშემოსავლო გადასახადის (3%) დაკავება. სხვა შემთხვევაში (თუ ეს საქონელი არ წარმოადგენს ჯართს), თქვენ მათთვის გადასახადის დაკავება არ გევალება. ეს ფიზიკური პირები თავად იქნებიან ვალდებულნი, მომდევნო წლის 1 აპრილამდე წარადგინონ საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია და გადაიხადონ კუთვნილი გადასახადი, თუ წარმოიშობა ნამეტნი შესაბამისი გამოქვითვების შემდეგ.

კითხვა:

ქართული კომპანიას, შპს-ს 2020 წლის თებერვალში ჩაუტარდა საგადასახადო შემონ-მება, რომლის შედეგებითაც დაგვერიცხა გადასახადები.

გთხოვთ გვიპასუხოთ, როდესაც ძირითადი გადასახადის თანხა გადახდილია, მხოლოდ საურავზე დამერიცხება საურავი? აგრეთვე, დამედება თუ არა ინკასო?

პასუხი:

ჯარიმას და საურავს საურავი არ ერიცხება, ხოლო თუ თქვენ გაქვთ ნარჩენი დავალიანება (თუნდაც იგი მხოლოდ ჯარიმებისა და საურავებისგან შედგებოდეს), საგადასახადო ორგანოს სრული უფლება აქვს, გამოიყენოს გადახდის უზრუნველყოფის ნებისმიერი საშუალება (მ. შ. ინკასო).

კითხვა:

როდესაც უცხოელ თანამშრომელს დროებითი ბინადრობა აქვს, საპენსიო და საშემოსავლო გადასახადით ვებერავთ, ვინაიდან შემოსავალი მიღებული აქვს საქართველოში, თუ კიდევ სხვა რაიმე სახის გადასახდი უნდა გადაიხადოს?

პასუხი:

თუ არარეზიდენტი პირი დაქირავებით მუშაობს საქართველოში, მაშინ სხვა გადასახადი არ დაგეგმისრებათ, ხოლო თუ იგი მომსახურებას ეწევა საქართველოში, მაშინ საშემოსავლო გადასახადის (10 %) გარდა, შეიძლება დღგ-ით უკუდაბეგვრაც მოგიწიოთ.

კითხვა:

შპს-მ 2019 წლის სექტემბრის მომსახურებისთვის ანგარიშ-ფაქტურა გამოგვინერა 2020 წლის აგვისტოში.

შეიძლება თუ არა მისი ჩათვლა კომპანიამ განახორციელოს 2020 წლის აგვისტოს თვეში ან, 2020 წლის დეკემბერში?

ან 2019 წლის რომელი საანგარიშო თვის დაზუსტების გზით შეიძლება მისი ჩათვლა?

პასუხი:

შემოსავლების სამსახურის მიდგომის მიხედვით უნდა დაზუსტდეს 2019 წლის სექტემბრის დეკლარაცია, ხოლო თუ ამ ანგარიშ-ფაქტურით ჩასათვლელი დღგ გაუმიჯნავია და პროპორციულ ჩათვლაში ექცევა, მაშინ 2019 წლის დეკემბრის დეკლარაცია უნდა დაზუსტდეს – ჩათვლის უფლების მქონე და არმქონე ბრუნვებს შორის წლიური პროპორციის დასაზუსტებლად.

კითხვა:

2020 წლის აპრილის თვეში შპს-მ მყიდველისაგან მიიღო 4000 ლარის ავანსი. გამოწერა ავანსის ანგარიშ-ფაქტურა და დაადეკლარირა აპრილის თვის დღგ-ის დეკლარაციაში. მაისის თვეში შემსყიდველმა გადაიფიქრა საქონლის შეძენა და მას უკან დაუბრუნდა ავანსის თანხა.

როგორ უნდა ასახოს გამყიდველმა აღნიშნული ოპერაცია მაისის თვის დღგ-ის დეკლარაციაში?

პასუხი:

მაისის თვეში უნდა მოხდეს დასაბეგრი ოპერაციის კორექტირება, თუ სსკ-ის 179-ე მუხლით განსაზღვრული დასაბეგრი ოპერაციის კორექტირების ერთ-ერთი წინაპირობა (გაუქმებულია დასაბეგრი ოპერაცია) არსებობს მაისის თვეში.

კითხვა:

შპს-ში დირექტორი და დამფუძნებელი ერთი და იგივე პირია და დირექტორს არ უნდა ხელფასი დაერიცხოს. რამდენად მართებულია ასეთი ქმედება საგადასახადო და სამართლებრივი თვალსაზრისით, თუ, ამავდროულად, აღნიშნული პირი არარეზიდენტი?

პასუხი:

ამგვარი მოქმედება აკრძალული არ არის.

კითხვა:

სოფლის მეურნეობაში, პირველად წარმოებაში, დასაქმებული პირების ხელფასი (როცა ვიყენებთ დაქირავებულ შრომას) იბეგრება თუ არა საშემოსავლი გადასახადით?

პასუხი:

თუ დამქირავებელი ფიზიკური პირია და მის მიერ ამ საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი 200 000 ლარს არ აღემატება, საგადასახადო კოდექსის 82.1-ე მუხლის „ც“ ქვეპუნქტის თანახმად, 2023 წლის 1 იანვრამდე ამგვარი ხელფასი არ დაიბეგრება.

კითხვა:

გვაქვს სავაჭრო ობიექტი, კერძოდ რესტორანი და გვავინტერესებს, ასეთი საწარმო-სათვის, ჭურჭელი მარაგია, თუ ძირითადი საშუალება და ასევე, როგორ მოვიქცეთ მათი დამსხვრევის შემთხვევაში, რადგან მსხვრევა ასეთ საწარმოში ძალზე ხშირია.

პასუხი:

მოგესხენებათ, „ჭურჭლის“ ცნება ძალიან ფართოა და განსხვავებული თვისებების მქონე ნივთებს მოიცავს. ამდენად, ფინანსური აღრიცხვის მიზნებისთვის „ჭურჭლის“ ძირითად საშუალებად ან სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობად აღიარების საკითხი თქვენს კონსულტანტთან ერთად უნდა განიხილოთ. ამ აღიარებაზე იქნება დამოკიდებული ქონების გადასახადის საკითხი.

თუ ეს ჭურჭელი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობაა, მის ჩამოსაწერად უნდა მიმართოთ საგადასახადო ორგანოს და წარუდგინოთ ნამსხვრევები. ასეთ შემთხვევაში, მათი ღირებულება არ დაიბეგრება. ამგვარი მოთხოვნა ძირითადი საშუალების მიმართ საგადასახადო კანონმდებლობაში არ არის.

რაც შეეხება დანაკლისს, იგი დაიბეგრება საერთო წესით – მისი აღმოჩენის მომენტში, ხოლო თუ ამ დანაკლისს საგადასახადო ორგანო აღმოაჩენს, გარდა დაბეგვრისა, დაგეკისრებათ ჯარიმა ამ ფასეულობათა საბაზრო ღირებულების 10 %-ის ოდენობით.

ინფორმაცია პირუბიდან

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის გაცვლითი
კურსები უცხოური ვალუტების მიმართ 2020 წლის აგვისტოში

თარიღი	ბულგარული ლარი	დანიშნული კრონა	ევრო	ფუნტი სტიმლინგი	ისლანდიური კრონა	სერბული დინარი	ნორვეგიული კრონა	პოლეთური გლთი	რუმინული ლეი	უნგრული ფორინტი	შვედური კრონა	შვეიცარიული ფრანკი	ჩეხური კრონა	ამერიკული დოლარი
	1	10	1	1	100	100	10	10	10	100	10	1	10	1
01.08.20	1,8612	4,8928	3,6420	4,0343	2,2790	3,0964	3,3866	8,2697	7,5376	1,0574	3,5403	3,3841	1,3909	3,0721
02.08.20	1,8612	4,8928	3,6420	4,0343	2,2790	3,0964	3,3866	8,2697	7,5376	1,0574	3,5403	3,3841	1,3909	3,0721
03.08.20	1,8612	4,8928	3,6420	4,0343	2,2790	3,0964	3,3866	8,2697	7,5376	1,0574	3,5403	3,3841	1,3909	3,0721
04.08.20	1,8429	4,8372	3,6021	4,0008	2,2530	3,0622	3,3554	8,1478	7,4494	1,0419	3,4978	3,3456	1,3681	3,0719
05.08.20	1,8524	4,8605	3,6190	4,0086	2,2620	3,0760	3,3652	8,2128	7,4847	1,0481	3,5149	3,3569	1,3809	3,0729
06.08.20	1,8618	4,8853	3,6398	4,0336	2,2751	3,0959	3,4093	8,2854	7,5304	1,0557	3,5368	3,3798	1,3947	3,0739
07.08.20	1,8622	4,8860	3,6402	4,0493	2,2723	3,0943	3,4181	8,2533	7,5273	1,0514	3,5278	3,3836	1,3895	3,0737
08.08.20	1,8596	4,8801	3,6356	4,0262	2,2666	3,0906	3,4184	8,2508	7,5159	1,0513	3,5258	3,3626	1,3835	3,0758
09.08.20	1,8596	4,8801	3,6356	4,0262	2,2666	3,0906	3,4184	8,2508	7,5159	1,0513	3,5258	3,3626	1,3835	3,0758
10.08.20	1,8596	4,8801	3,6356	4,0262	2,2666	3,0906	3,4184	8,2508	7,5159	1,0513	3,5258	3,3626	1,3835	3,0758
11.08.20	1,8476	4,8521	3,6138	4,0061	2,2501	3,0734	3,3978	8,2141	7,4742	1,0461	3,5136	3,3504	1,3771	3,0743
12.08.20	1,8536	4,8707	3,6272	4,0294	2,2519	3,0842	3,4319	8,2383	7,5022	1,0504	3,5290	3,3725	1,3858	3,0747
13.08.20	1,8521	4,8660	3,6237	4,0137	2,2497	3,0814	3,4352	8,2267	7,4934	1,0506	3,5296	3,3693	1,3874	3,0785
14.08.20	1,8615	4,8882	3,6403	4,0260	2,2601	3,0954	3,4580	8,2771	7,5277	1,0558	3,5443	3,3774	1,3958	3,0728
15.08.20	1,8549	4,8735	3,6292	4,0261	2,2527	3,0864	3,4417	8,2547	7,5046	1,0486	3,5270	3,3752	1,3901	3,0738
16.08.20	1,8549	4,8735	3,6292	4,0261	2,2527	3,0864	3,4417	8,2547	7,5046	1,0486	3,5270	3,3752	1,3901	3,0738
17.08.20	1,8549	4,8735	3,6292	4,0261	2,2527	3,0864	3,4417	8,2547	7,5046	1,0486	3,5270	3,3752	1,3901	3,0738
18.08.20	1,8602	4,8853	3,6381	4,0223	2,2528	3,0934	3,4606	8,2870	7,5272	1,0446	3,5324	3,3814	1,3916	3,0686
19.08.20	1,8699	4,9105	3,6564	4,0478	2,2679	3,1093	3,4787	8,3313	7,5618	1,0452	3,5393	3,3929	1,3994	3,0726
20.08.20	1,8759	4,9295	3,6702	4,0634	2,2621	3,1208	3,4810	8,3463	7,5826	1,0485	3,5590	3,4049	1,4047	3,0746
21.08.20	1,8588	4,8827	3,6352	4,0311	2,2414	3,0912	3,4389	8,2829	7,5131	1,0399	3,5190	3,3704	1,3959	3,0718
22.08.20	1,8545	4,8702	3,6257	4,0388	2,2299	3,0828	3,4273	8,2491	7,4908	1,0347	3,5028	3,3718	1,3908	3,0737
23.08.20	1,8545	4,8702	3,6257	4,0388	2,2299	3,0828	3,4273	8,2491	7,4908	1,0347	3,5028	3,3718	1,3908	3,0737
24.08.20	1,8545	4,8702	3,6257	4,0388	2,2299	3,0828	3,4273	8,2491	7,4908	1,0347	3,5028	3,3718	1,3908	3,0737
25.08.20	1,8593	4,8853	3,6366	4,0313	2,2344	3,0927	3,4222	8,2585	7,5122	1,0339	3,5102	3,3791	1,3938	3,0743
26.08.20	1,8625	4,8947	3,6429	4,0421	2,2381	3,0977	3,4472	8,2852	7,5263	1,0308	3,5233	3,3867	1,3955	3,0778
27.08.20	1,8606	4,8884	3,6389	4,0517	2,2294	3,0934	3,4427	8,2660	7,5168	1,0256	3,5144	3,3880	1,3845	3,0804
28.08.20	1,8541	4,8694	3,6243	4,0500	2,2171	3,0817	3,4406	8,2253	7,4841	1,0178	3,5149	3,3773	1,3789	3,0696
29.08.20	1,8541	4,8694	3,6243	4,0500	2,2171	3,0817	3,4406	8,2253	7,4841	1,0178	3,5149	3,3773	1,3789	3,0696
30.08.20	1,8541	4,8694	3,6243	4,0500	2,2171	3,0817	3,4406	8,2253	7,4841	1,0178	3,5149	3,3773	1,3789	3,0696
31.08.20	1,8541	4,8694	3,6243	4,0500	2,2171	3,0817	3,4406	8,2253	7,4841	1,0178	3,5149	3,3773	1,3789	3,0696

თარიღი	კანადური დოლარი	ამსტერდამური დოლარი	ეგიპტური გირონა	თურქული ლირა	იაპონური იენი	აზს დირჰამი	ირანული რიალი	ისრაელის შიკელი	სინგაპურული დოლარი	შვეიცარიული ფრანკი	ჩინური იუანი	ჰონგკონგური დოლარი	ინდური რუპია	ახალგაზრდული დოლარი
	1	1	10	1	100	10	10000	10	1	1	10	10	100	1
01.08.20	2,2885	2,2085	1,9239	0,4405	2,9359	8,3640	0,7315	9,0258	2,2404	10,0560	4,4059	3,9639	4,1063	2,0519
02.08.20	2,2885	2,2085	1,9239	0,4405	2,9359	8,3640	0,7315	9,0258	2,2404	10,0560	4,4059	3,9639	4,1063	2,0519
03.08.20	2,2885	2,2085	1,9239	0,4405	2,9359	8,3640	0,7315	9,0258	2,2404	10,0560	4,4059	3,9639	4,1063	2,0519
04.08.20	2,2868	2,1820	1,9234	0,4402	2,8956	8,3635	0,7314	8,9877	2,2302	10,0389	4,3979	3,9635	4,0953	2,0351
05.08.20	2,2949	2,1941	1,9228	0,4419	2,8979	8,3662	0,7316	8,9743	2,2334	10,0454	4,4009	3,9650	4,0946	2,0312
06.08.20	2,3173	2,2160	1,9220	0,4385	2,9059	8,3689	0,7319	9,0088	2,2441	10,0553	4,4281	3,9662	4,1021	2,0438
07.08.20	2,3116	2,2081	1,9233	0,4228	2,9126	8,3684	0,7318	9,0170	2,2418	10,0612	4,4255	3,9660	4,1020	2,0406
08.08.20	2,3024	2,2158	1,9260	0,4242	2,9102	8,3741	0,7323	9,0258	2,2433	10,0615	4,4206	3,9686	4,1046	2,0439
09.08.20	2,3024	2,2158	1,9260	0,4242	2,9102	8,3741	0,7323	9,0258	2,2433	10,0615	4,4206	3,9686	4,1046	2,0439
10.08.20	2,3024	2,2158	1,9260	0,4242	2,9102	8,3741	0,7323	9,0258	2,2433	10,0615	4,4206	3,9686	4,1046	2,0439
11.08.20	2,2958	2,1966	1,9197	0,4203	2,8967	8,3700	0,7320	9,0060	2,2373	10,0500	4,4103	3,9667	4,1045	2,0238
12.08.20	2,3134	2,2082	1,9242	0,4249	2,8977	8,3711	0,7321	9,0390	2,2427	10,0546	4,4285	3,9673	4,1118	2,0327
13.08.20	2,3173	2,1977	1,9277	0,4208	2,8814	8,3814	0,7330	9,0385	2,2418	10,0572	4,4325	3,9718	4,1141	2,0180
14.08.20	2,3233	2,2044	1,9290	0,4191	2,8766	8,3659	0,7316	9,0217	2,2414	10,0484	4,4251	3,9648	4,1055	2,0194
15.08.20	2,3225	2,1968	1,9299	0,4167	2,8805	8,3686	0,7319	9,0265	2,2394	10,0517	4,4225	3,9660	4,1036	2,0087
16.08.20	2,3225	2,1968	1,9299	0,4167	2,8805	8,3686	0,7319	9,0265	2,2394	10,0517	4,4225	3,9660	4,1036	2,0087
17.08.20	2,3225	2,1968	1,9299	0,4167	2,8805	8,3686	0,7319	9,0265	2,2394	10,0517	4,4225	3,9660	4,1036	2,0087
18.08.20	2,3196	2,2060	1,9250	0,4153	2,8862	8,3545	0,7306	9,0041	2,2412	10,0347	4,4208	3,9593	4,0975	2,0038
19.08.20	2,3344	2,2230	1,9270	0,4157	2,9110	8,3651	0,7316	9,0347	2,2515	10,0576	4,4386	3,9645	4,1099	2,0153
20.08.20	2,3386	2,2349	1,9323	0,4167	2,9215	8,3710	0,7320	9,0416	2,2546	10,0675	4,4509	3,9671	4,1093	2,0440
21.08.20	2,3264	2,2000	1,9280	0,4211	2,8993	8,3634	0,7314	9,0323	2,2432	10,0418	4,4390	3,9635	4,0941	2,0080
22.08.20	2,3279	2,2063	1,9298	0,4247	2,9088	8,3686	0,7318	9,0273	2,2449	10,0513	4,4422	3,9660	4,1063	2,0099
23.08.20	2,3279	2,2063	1,9298	0,4247	2,9088	8,3686	0,7318	9,0273	2,2449	10,0513	4,4422	3,9660	4,1063	2,0099
24.08.20	2,3279	2,2063	1,9298	0,4247	2,9088	8,3686	0,7318	9,0273	2,2449	10,0513	4,4422	3,9660	4,1063	2,0099
25.08.20	2,3356	2,2107	1,9330	0,4168	2,9071	8,3702	0,7320	9,0351	2,2468	10,0533	4,4473	3,9668	4,1366	2,0149
26.08.20	2,3311	2,2102	1,9360	0,4161	2,8910	8,3798	0,7328	9,0492	2,2489	10,0615	4,4528	3,9712	4,1412	2,0141
27.08.20	2,3374	2,2185	1,9397	0,4194	2,8987	8,3868	0,7334	9,0512	2,2524	10,0667	4,4700	3,9746	4,1459	2,0211
28.08.20	2,3332	2,2245	1,9375	0,4174	2,8953	8,3572	0,7309	9,0908	2,2468	10,0379	4,4568	3,9607	4,1585	2,0351
29.08.20	2,3332	2,2245	1,9375	0,4174	2,8953	8,3572	0,7309	9,0908	2,2468	10,0379	4,4568	3,9607	4,1585	2,0351
30.08.20	2,3332	2,2245	1,9375	0,4174	2,8953	8,3572	0,7309	9,0908	2,2468	10,0379	4,4568	3,9607	4,1585	2,0351
31.08.20	2,3332	2,2245	1,9375	0,4174	2,8953	8,3572	0,7309	9,0908	2,2468	10,0379	4,4568	3,9607	4,1585	2,0351

თარიღი	რუსული რუბლი	ამერიკიანული მანეთი	ბელორუსული რუბლი	თურქმენული მანეთი	მთლდამური ლმი	სომხური დრამი	თაჯიკური სომონი	უზბეკური სუმი	უკრაინული გრივნა	ყაზახური თენგე	ყირგიზული სომი	სამხრეთ აფრიკული რანდი	ბრაზილიური რიალი
	100	1	10000	10	10	1000	10	1000	10	100	100	10	1
01.08.20	4,1573	1,8071	1,2617	8,7774	1,8518	6,3150	2,9794	0,3010	1,1088	0,7287	3,9620	1,8163	0,5959
02.08.20	4,1573	1,8071	1,2617	8,7774	1,8518	6,3150	2,9794	0,3010	1,1088	0,7287	3,9620	1,8163	0,5959
03.08.20	4,1573	1,8071	1,2617	8,7774	1,8518	6,3150	2,9794	0,3010	1,1088	0,7287	3,9620	1,8163	0,5959
04.08.20	4,1678	1,8070	1,2563	8,7769	1,8478	6,3223	2,9792	0,3009	1,1046	0,7269	3,9692	1,7812	0,5882
05.08.20	4,1656	1,8076	1,2584	8,7797	1,8506	6,3258	2,9802	0,3010	1,1052	0,7287	3,9727	1,7659	0,5773
06.08.20	4,2064	1,8082	1,2584	8,7826	1,8568	6,3261	2,9811	0,3011	1,1107	0,7338	3,9697	1,7823	0,5811
07.08.20	4,1843	1,8081	1,2631	8,7820	1,8589	6,3285	2,9808	0,3010	1,1104	0,7340	3,9659	1,7444	0,5807
08.08.20	4,1811	1,8093	1,2604	8,7880	1,8596	6,3313	2,9828	0,3010	1,1127	0,7329	3,9665	1,7528	0,5768
09.08.20	4,1811	1,8093	1,2604	8,7880	1,8596	6,3313	2,9828	0,3010	1,1127	0,7329	3,9665	1,7528	0,5768
10.08.20	4,1811	1,8093	1,2604	8,7880	1,8596	6,3313	2,9828	0,3010	1,1127	0,7329	3,9665	1,7528	0,5768
11.08.20	4,1709	1,8084	1,2548	8,7837	1,8610	6,3338	2,9813	0,3011	1,1142	0,7329	3,9648	1,7311	0,5653
12.08.20	4,2244	1,8086	1,2550	8,7849	1,8589	6,3335	2,9815	0,3005	1,1153	0,7354	3,9592	1,7500	0,5610
13.08.20	4,2107	1,8109	1,2548	8,7957	1,8501	6,3425	2,9852	0,3007	1,1162	0,7349	3,9702	1,7720	0,5720
14.08.20	4,1862	1,8075	1,2501	8,7794	1,8372	6,3242	2,9796	0,3003	1,1217	0,7331	3,9629	1,7661	0,5656
15.08.20	4,1886	1,8081	1,2493	8,7823	1,8346	6,3302	2,9804	0,3002	1,1243	0,7328	3,9641	1,7581	0,5725
16.08.20	4,1886	1,8081	1,2493	8,7823	1,8346	6,3302	2,9804	0,3002	1,1243	0,7328	3,9641	1,7581	0,5725
17.08.20	4,1886	1,8081	1,2493	8,7823	1,8346	6,3302	2,9804	0,3002	1,1243	0,7328	3,9641	1,7581	0,5725
18.08.20	4,1742	1,8051	1,2496	8,7674	1,8458	6,3189	2,9750	0,2997	1,1248	0,7330	3,9288	1,7625	0,5659
19.08.20	4,2080	1,8074	1,2446	8,7789	1,8454	6,3392	2,9780	0,2999	1,1280	0,7340	3,9626	1,7672	0,5575
20.08.20	4,1887	1,8086	1,2447	8,7846	1,8511	6,3377	2,9801	0,2995	1,1233	0,7347	3,9652	1,7838	0,5623
21.08.20	4,1649	1,8069	1,2364	8,7766	1,8488	6,3044	2,9773	0,2998	1,1193	0,7328	3,9616	1,7845	0,5528
22.08.20	4,1282	1,8082	1,2179	8,7820	1,8527	6,3326	2,9790	0,3000	1,1206	0,7320	3,9640	1,7811	0,5529
23.08.20	4,1282	1,8082	1,2179	8,7820	1,8527	6,3326	2,9790	0,3000	1,1206	0,7320	3,9640	1,7811	0,5529
24.08.20	4,1282	1,8082	1,2179	8,7820	1,8527	6,3326	2,9790	0,3000	1,1206	0,7320	3,9640	1,7811	0,5529
25.08.20	4,1383	1,8087	1,2004	8,7837	1,8498	6,3338	2,9794	0,3000	1,1200	0,7327	3,9648	1,8087	0,5469
26.08.20	4,1219	1,8117	1,1788	8,7937	1,8519	6,3410	2,9827	0,2999	1,1228	0,7344	3,9693	1,8307	0,5485
27.08.20	4,0636	1,8133	1,1576	8,8011	1,8468	6,3353	2,9851	0,3003	1,1221	0,7331	3,9727	1,8354	0,5591
28.08.20	4,0769	1,8069	1,1464	8,7703	1,8403	6,3138	2,9746	0,2991	1,1173	0,7314	3,9587	1,8100	0,5471
29.08.20	4,0769	1,8069	1,1464	8,7703	1,8403	6,3138	2,9746	0,2991	1,1173	0,7314	3,9587	1,8100	0,5471
30.08.20	4,0769	1,8069	1,1464	8,7703	1,8403	6,3138	2,9746	0,2991	1,1173	0,7314	3,9587	1,8100	0,5471
31.08.20	4,0769	1,8069	1,1464	8,7703	1,8403	6,3138	2,9746	0,2991	1,1173	0,7314	3,9587	1,8100	0,5471

იდიო ქაქაშვილის ბრძნული გამოცდილებები

- კრედიტი, ეკონომიურის თვალთ გასინჯული, ერთი იმისთანა გამოსადეგი ღონეთაგანია, რომლის შემწეობით გროვდება გაფანტული და უქმი კაპიტალი საზოგადოებისა და ერთის ხელიდამ მეორეში გადადის წარმოების გასაძლიერებლად.
- კრედიტი ორპირი მახვილია. ეგ იმიაზედ არის დამოკიდებული, კრედიტს ვინ როგორ იმსახურებს, ვინ როგორ გამოიყენებს. თუ კაცი კრედიტს წარმოების გასაძლიერებლად არ მოიხმარებს, იგი კაცის დამღუპველია. ის კრედიტი კი, რომელიც იხმარება წარმოების გასაძლიერებლად, ერთი იმისთანა ეკონომიურ ძალთაგანია, ერთი იმისთანა წყაროა საზოგადო სიმდიდრისა, ურომლისოდაც კეთილდღეობას საზოგადოებისა ძნელად იგულისხმება.
- კრედიტის შემწეობით, კაპიტალი ორ-გვარად შეიძლება მოიხმაროს კაცმა: ერთი იმისათვის, რომ დროებით და შემთხვევით გამორჩომა ნახოს, მეორე იმისთვის, რომ სამუდამოდ მკვიდრად განაკარგოს მეურნეობა.
- ლანძღვა-გინება – უმართებულო საქციელია და მარტო მლანძღველის სიბრყვეს მოასწავებს, ხოლო სიბრყვე ავზნეობის ნიშანი კი არ არის, გაუზრდელობის, გაუწვრთნელობის საქმეა.
- „კრიტიკა“ არის განხილვაც, განჩხრეკაც, გარკვევაც, გარჩევაც და დაფასებაც ერთად, როცა რომელსამე საგანს ფასსა დებს კაცი, ჯერ იმის ღირსებას იტყვის (თუ აქვს ღირსება) და დაამტკიცებს, მერე ამბობს, ამოდენად ღირსო, ესე იგი, სინჯავს შიგნიდამ და გარედამ საგანსა ყოველსა მის თვისებასა, არჩევს ცუდსა და კარგსა და მერე სწონავს მართალ სასწორზე.
- მეცნიერება და ხელოვნება – ეგ სახელოვანი საღარონი კაცის გონიერებისა – არიან კანონიერნი მემკვიდრენი გენიისაგან დაშთომილ საუნჯის.
- მეცნიერება საღაროა, საცა აწყვია უკეთესი განძი, ადამიანის უკეთესი ჭკვიტა და გრძნობით მოპოვებული.
- მეცნიერებისაგან გამორკვეული სიმდიდრე სხვა არის, მაგრამ კერძო კაცთა ურთიერთობაში სიმდიდრის საწყაოდ მარტო ფულია.
- რა არის მთელი პროგრესი კაცობრიობისა, თუ არა ის, რომ ადამიანის პიროვნება, ადამიანის სინიდისი, ყოფა-ცხოვრება, – უსაბუთოდ, უსაფუძვლოდ არავისგან ხელშეუხებელი არ იყოს, არავისგან შემწიკვლული, შეგინებული და შევიწროებული.
- ჟინი ბეზლობისა, შურისგებისა, ჟინი გულღვარძლიანობისა, როგორც ყოველივე სხვა უწმიდური ჟინი, ძნელად თავდასაჭერია, რაკი კაცს შეეჩვევა.

ფინანსური მართვა აუდიტი და მარცმუნებელი მომსახურება საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება

ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტერი, რომელიც პასუხისმგებელია დამკირავებელი ორგანიზაციის საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ან დამტკიცებაზე, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ფინანსური ანგარიშგების წარდგენისთვის დადგენილი სათანადო საფუძვლების შესაბამისად.

პროფესიონალმა ბუღალტერმა არ უნდა დაუშვას, რომ ინტერესთა კონფლიქტმა გამოიწვიოს მისი პროფესიული ან საქმიანი გადწყვეტილებების კომპრომენტირება.

